ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 23 აპრილი, 2020 №91 (8355) ფასი: 60 თეთრი

## ხატია დეკანოიძე: „კრიმინალი კიდევ გაიზრდება“

„სახეზეა შერჩევითი სამართალი და განუკითხაობა, რომლებსაც რეჟიმი იყენებს“



გვ.2

# ზელენსკიმ სააკაშვილს უკრაინის ვიცეპრემიერობა შესთავაზა



გვ.2

„მზად ვარ, ვიმუშაო ყველა პატრიოტულ ძალასთან უკრაინის პარლამენტში“

## დავით ჭიჭინაძე: „გახარია პარლამენტს აგდებულად ექცევა“

წარმოუდგენელია, ამ კრიზისულ ვითარებაში როგორ გაჩნდა ახალი მონოპოლისტი „ჯიბე“!



გვ.3

## „სურამში გაგვირემონტეს ფსიქიატრიული და კარანტინის შემდეგ ყველას იქ გაგვიშვებენ“



მამუკა გამყრელიძე: „გახარია რომ ხარ და ხელფასი რომ გაქვს ცაში ატყორცნილი, აღარ ფიქრობ გაჭირვებული ადამიანის გონებით“

გვ.2



გვ.3

## პაატა შეშელიძე: „საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საერთოდ არ იყო საჭირო“

„რიგი დარგების გადანაწილება ისეთ ჯგუფებზე ხდება, რომლებსაც ხელისუფლება აკონტროლებს“

## ლევან ალაფიშვილი: არჩევნები, შესაძლოა, დეკემბრის ბოლოს გაიმართოს

გვ.3





## რა მიზანი აქვს ოკუპირებულ აფხაზეთში რუსული ქიმიური და ბიოლოგიური ქვედანაყოფების გადმოსროლას?

გვ.4

გვ.5



## 112-ში უმიზეზოდ ნუ დარეკავთ!





შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება



## შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 102 ფაქტი გამოავლინა

გვ.5

ISSN 1987-9385

5 სოსო გაბრიაძეს ბრალი თამუნა ანთელავას განზრახ მკვლელობაში წარედგინა

4 მამუკა გვაძაბია: „კოვიდ 19 ხელოვნურად შექმნილი ვირუსია“

5 ყინწვისის მამათა მონასტრის წინამძღვარმა მამა დავით აქიაშვილმა არქიმანდრიტი საბა ქლენტი დაჭრა

6 იტალია შეზღუდვების მოხსნას 4 მაისიდან დაიწყებს, ესპანეთი კი კარანტინს მაისის მეორე ნახევრიდან მოხსნის

# ხატია დეკანოიძე: „კრიმინალი კიდევ გაიზრდება“

## „სახეზეა შერჩევითი სამართალი და განუკითხაობა, რომლებსაც რეჟიმი იყენებს“

იაგო ნაცვლიშვილი



აღდგომის ღამეს მთელი საქართველო საზარელმა ამბავმა მოიცვა – პოლიციელის ბრმა ტყვიამ 50 წლის ქალის სიცოცხლე იმსხვერპლა, თან იმ დროს, როდესაც შუახნის ქალი საკუთარ სახლში ტელევიზორს უყურებდა. ტრაგედიას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ პოლიცია სპეცოპერაციას კი არ ატარებდა ან რამე გადაუდებელი სიტუაციით კი არ იყო სროლა ნაკარნახევი, არამედ ნაქეიფარმა პოლიციელმა საკუთარი სახლიდან იარაღის სროლა დაიწყო.

როგორც ირკვევა, ეს არ ყოფილა პოლიციელის დროსტარების ერთადერთი შემთხვევა და მას სროლა აქამდეც აუტეხია. სიტუაციას კიდევ უფრო აუტანელს ხდის ის ფაქტი, რომ ეს ხდება საგანგებო მდგომარეობისა და კომენდანტის საათის დროს, როცა რიგით ადამიანს ქუჩაში გამოსვლაც კი აკრძალული აქვს. აქამდეც არსებობდა კითხვები საგანგებო მდგომარეობის შერჩევით შეზღუდვებზე, ამ შემთხვევამ კი ეს კითხვები კიდევ უფრო გაამძაფრა.

გაჩნდა თუ არა შერჩევითი სამართლის მკაფიო მინიშნებები საგანგებო მდგომარეობის დროსაც და რით გამოიხატება ეს? რა კითხვები რჩება ამ საქმეზე და რით აიხსნება გაზრდილი კრიმინოგენური ვითარება? – ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ხატია დეკანოიძე საუბრობს.

***– რა დაგანახათ აღდგომის ღამის ტრაგედიამ, როდესაც ქალი საკუთარ სახლში პოლიციელის ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა? აჩვენა თუ არა ამან ის, რომ შერჩევითი სამართალი ჩანს საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი?***

– რა თქმა უნდა, შერჩევითი სამართალი სახეზეა. ამ ძალიან მძიმე ტრაგედიით გამოჩნდა, რომ საქმე გვაქვს სრულ განუკითხაობასა და უკონტროლობასთან. ამან დაგვანახა ის, რომ სისტემა თავიდან ბოლომდე ჩამოშლილია და საჭიროებს სრულ რეფორმას. როგორც ჩანს, ეს ადამიანი მუდმივად ისროდა იარაღს, არ ვიცი, ტაბელურს თუ არატაბელურს. ამაზეც არ გვაქვს ზუსტი პასუხი და გაურკვეველია, ჩატარდა თუ არა ექსპერტიზა და რამდენად გამჭვირვალედ ჩატარდა გამოძიება.

კრიმინოგენური ვითარება მატულობს, ვხედავთ განუკითხაობას ირგვლივ. მე თვითონ ვნახე, როგორ დადის კრიმინალური პოლიცია, ასევე განუკითხაობაა შემოსავლის სამსახურის სუპერმარკეტებში შევარდნის თვალსაზრისითაც. ამ დროს მღვდლები დადიან ჯიპებით, რომლებსაც გადაადგილების უფლება აქვთ და, როგორც ჩანს, მხოლოდ კანონმორჩილ მოქალაქეებზე ვრცელდება ეს შეზღუდვები, რაც ძალიან ცუდი ფაქტია.

***– კითხვა აქაც ჩნდება – ახსენეთ მღვდლების მაგალითი, რომელთა უფლებები განუზომლად დიდია და ჩვენ სახეზე გვაქვს ადამიანი, რომელიც 9 ტიტის გაყიდვისთვის დააჯარიმეს. ეს რაზე მიანიშნებს?***

– ეს მიანიშნებს იმაზე, რომ საგანგებო მდგომარეობა შერჩევითად არის გამოცხადებული. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ზუსტი სურათი არ გვაქვს. არ არსებობს მასობრივი ტესტირების სტატისტიკა. ექიმები გვეუბნებიან, რომ ჩატარდება... ჩემი დიდი პატივისცემა ექიმებს, რომლებიც იბრძვიან ყოველდღიურად ადამიანების გადასარჩენად და პირდაპირი მნიშვნელობით ბრძოლის ველზე არიან, მაგრამ, თუ არ გვექნება ზუსტი ინფორმაცია, ეს შეზღუდვები, შესაძლოა, რეჟიმმა გამოიყენოს. თვითონ საარჩევნო კამპანია აქვთ გაჩაღებული, დანარჩენი ადამიანები გამოკეტეს და შიმშილისთვის გაწირეს.

მე ვფიქრობ, რომ ორი მიმართულებით არის სერიოზული პრობლემა – არ არსებობს ანტიკრიზისული გეგმა ეკონომიკური მიმართულებით და ასევე არ არსებობს განუსაზღვრელი ძალაუფლების კონტროლი სამართალდამცავი უწყებების მიმართ, რაც ძალიან სერიოზული პრობლემაა, მით უმეტეს ამ სიტუაციაში, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება და არის ჩრდილოვანი მმართველობის რეჟიმი. ეს არის ძალიან მძიმე. ასევე არის კორუფცია. ყველაფერს სათავისოდ იყენებენ. ასევე არის ის მომენტი, როდესაც პრივილეგირებული ფენა სარგებლობს, მათ შორის გადაადგილების უფლებით. მათ შორის ადამიანს არ აქვს უფლება, რომ საკუთარი ავტომობილით მარტო გადაადგილდეს. ამ დროს ჩვენ ვხედავთ, რომ საპატრიარქოს წარმომადგენლებს სრულად აქვთ გადაადგილების უფლება, ახლაც კი, როდესაც რელიგიური დღესასწაულები დამთავრდა.

***– რატომ ხდება ეს? რა პასუხი გაქვთ ამაზე?***

– იმიტომ, რომ ხელისუფლებას არ ჰქონდა პრინციპული პოზიცია, იმიტომ, რომ რეალურად დაუშვა შერჩევითი მიდგომა და ეს შერჩევითი მიდგომა ზუსტად იმიტომ დაუშვა, რომ ხმებისთვის იბრძვის.

***– იქიდან გამომდინარე ხდება ეს, რომ საარჩევნო წელია?***

– დიახ, რა თქმა უნდა. აქ ადგილი აქვს ფარისევლობას და მე ძალიან ვნერვიულობ იმაზე, რომ სურათი არ გვაქვს და არ ვიცით, როდის იქნება რეალურად პიკი, როდის დადგება პლატო, როდის წავა მრუდის მიმართულებით და ა.შ. ორშაბათს მოვისმინეთ, რომ უახლოესი 2-3 კვირა არის კიდევ მძიმე პერიოდი და ამ განცხადებას ვისმენთ უკვე 2 თვეა. ეს არასერიოზულად მეჩვენება.

ამიტომ ქვეყანა ძალიან ბევრი მიმართულებით არის საფრთხის ქვეშ, ეკონომიკის მიმართულებით, ასევე განუკითხაობის მხრივ და სამართალდამცველთა განუზომელი ძალაუფლების მიმართულებით. რეალურად რეჟიმი ყველაფერს სათავისოდ იყენებს.

***– კრიმინალის მატება რა მიზეზებით აიხსნება?***

– კრიმინალი კიდევ უფრო მოიმატებს. ეს ჩვეულებრივი მომენტია. ვისაც შეხება ჰქონია ანტიკრიზისულ მდგომარეობასთან, მან კარგად იცის ამის შესახებ. როდესაც არის საშინელი ეკონომიკური გაჭირვება და განუკითხაობა, მათ შორის ქაოსი, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტები ჩამოშლილია, კრიმინალი მატულობს. აქამდე შემცირებული იყო კრიმინალი, მაგრამ ახლა იქნება სერიოზული ზრდა, ამიტომ ჩვენ ხელისუფლებას სერიოზული პასუხები უნდა მოვთხოვოთ. ამაში განსაკუთრებული როლი მედიას ენიჭება, რათა ეს კითხვები უპასუხოდ არ დარჩეს.

***– დავუბრუნდეთ პოლიციელის საქმეს. სწორია, რომ გაუფრთხილებლობის მუხლით დაიწყო გამოძიება?***

– რასაკვირველია, არა. როგორც ირკვევა, თურმე ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა, როდესაც იარაღს ისვრის ეს ადამიანი. არ ვიცი, ტაბელურ იარაღს, გადაუფორმებელს, ადამიანი ამბობდა, რომ კონდიციონერს მოხვდა მისი გასროლილი ტყვია. ეს არ არის გაუფრთხილებლობა. ეს არის შემთხვევა, როდესაც ადამიანმა იცის, რომ შესაძლოა, მისმა ქმედებამ გამოიწვიოს სხვისი სიცოცხლის მოსპობა. ამიტომ, თუ შინაპატიმრობა მიუსაჯეს, ეს იქნება წარმოუდგენლად არაპროპორციული სასჯელი. თუ მოხდა ისე, რომ პატიმრობა შეუფარდეს, მაგრამ შემდეგ გაათავისუფლეს პირობითი მსჯავრით, ესეც ძალიან არაპროპორციული სასჯელი იქნება.

***– ამ საქმესთან დაკავშირებით ხელის დაფარების მცდელობა უკვე დაინახეთ?***

– არა მხოლოდ ამ საქმესთან დაკავშირებით. ძალიან ბევრ საქმესთან დაკავშირებით დავინახე ეს მართლმსაჯულებაში და განსაკუთრებით, როცა პოლიციელს ეხება საქმე, გამოძიება არ დგება ობიექტურად. ეს არის ძალიან მძიმე და ტრაგიკული მოვლენა, როდესაც კომენდანტის საათის დროს პოლიციელები ღრეობენ და შემდეგ ამ ღრეობას ადამიანის სიცოცხლე ეწირება. წარმოუდგენელი რაღაც არის ეს. ასეთ ვითარებაში შინაგან საქმეთა მინისტრები პოსტს ტოვებენ ხოლმე.

***– ამ ვითარებაში გომელაური უნდა გადადგეს?***

– ახლა გომელაური პოსტს არ დატოვებს იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი არ უბრძანებს ამას.

***– იმ შემთხვევას ვგულისხმობ, როგორც ხდება დემოკრატიულ და ცივილიზებულ ქვეყნებში.***

– ცივილიზებულ ქვეყანაში – კი. სადაც ოლიგარქს არ ემორჩილება ყველა ინსტიტუცია, მაშინ, რა თქმა უნდა, ამ პასუხისმგებლობას იღებენ პოლიტიკური თანამდებობის პირები. სანამ ამ დონემდე არ მივალთ, ამ ქვეყანაში მართლმსაჯულებას არაფერი ეშველება.

# ზელენსკიმ სააკაშვილს უკრაინის ვიცეპრემიეროზა შესთავაზა

## „მზად ვარ, ვიმუშაო ყველა პატრიოტულ ძალასთან უკრაინის პარლამენტში“



საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, შესაძლოა, უკრაინის მთავრობაში დაბრუნდეს და რეფორმების მიმართულება ჩაიბაროს.

ამის შესახებ უკრაინული გამოცემა ლიგა.ნეტ წერს და ასახელებს კონკრეტულ თანამდებობასაც, რომელიც, შესაძლოა, სააკაშვილმა დაიკავოს: ვიცეპრემიერი რეფორმების კუთხით.

გამოცემა სამთავრობო წყაროებზე დაყრდნობით წერს, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ უკვე შესთავაზა მიხეილ სააკაშვილს პოსტი მთავრობაში.

ინფორმაციას ადასტურებს პრეზიდენტის ოფისის პრესსპიკერი დარინა ჩიჟი.

აღნიშნულ საკითხს მიხეილ სააკაშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა.

„ჩემთვის დიდი პატივია, მივიღო შეთავაზება პრეზიდენტ ზელენსკისგან, რომ გავხდე უკრაინის პრემიერ-მინისტრის მოადგილე რეფორმები საკითხებში. მე ასევე მქონდა ძალიან ინფორმატიული და სასარგებლო საუბარი პრემიერ-მინისტრთან, რომლის დროსაც დეტალურად განვიხილეთ ყველა ის საკითხი, რაც მთავრობაში ჩემს შესაძლო მუშაობას ეხებოდა.

პრეზიდენტის გუნდთან ერთად მე მზად ვარ, ვიმუშაო ყველა პატრიოტულ ძალასთან უკრაინის პარლამენტში და სხვა პოლიტიკურ ძალებთან, რათა უკრაინამ შეძლოს, დღევანდელი გლობალური ეკონომიკური კრიზისი ყველაზე ნაკლებ დანაკარგებით დაძლიოს და გაუმკლავდეს ყველა გამოწვევას.

იმედი მაქვს, რომ გუნდის საიმედო წევრი ვიქნები და გამოვადგები უკრაინელ ხალხს მათთვის სასარგებლო რამის გაკეთებით. ასევე ვიმედოვნებ, რომ გამოვიყენებ ჩემს საერთაშორისო გამოცდილებას, რომ ვიყო სამთავრობო გუნდის სარგებლობის მომტანი წევრი, მათ შორის საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობებში, რათა გაძლიერდეს უკრაინის პრესტიჟი და მისი ინტეგრაცია საერთაშორისო საზოგადოებაში, რათა პირველ რიგში დავიცვათ უკრაინელი ხალხის ინტერესები და წვლილი შევიტანოთ ქვეყანაში პროგრესირებაში“, – დაწერა სააკაშვილმა.

# „სურამში გაგვირემონტეს ფსიქიატრიული და კარანტინის შემდეგ ყველას იქ გაგვიშვებენ“

## მამუკა გამყრელიძე: „გახარია რომ ხარ და ხელფასი რომ გაქვს ცაში ატყორცნილი, აღარ ფიქრობ გაჭირვებული ადამიანის გონებით“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, 22 მაისამდე გახანგრძლივდა საგანგებო მდგომარეობა. ასეთ დროს ბიძინა და ბერა ივანიშვილების ვიდეოს ტიკტოკზე სერიოზული აღშფოთება მოჰყვა საზოგადოების დიდ ნაწილში. დამცველიც ბევრი გამოუჩნდა, ხალხს ამხნევებენ და ეს ყველაფერი პოზიტიურიაო. რას იტყვით თქვენ?***

– დავიწყოთ ბოლოდან. რაც შეეხება ვიდეოს, ვერაფერს ცუდს ვერ დავინახავდი ამ ვიდეოში, პირიქით, ჩავთვლიდი, რომ მამა-შვილის პოზიტიური ვიდეოა და კარგი განწყობის შემოტანა უნდათ ხალხში. თუმცა, სწორად უნდა შეარჩიო ყველაფრისთვის დრო. ეს რომ გაეკეთებინათ ჩვეულებრივ დროს, აბსოლუტურად ნორმალურად მივიღებდი, შესაძლოა, რაღაც ჩელენჯის სახითაც წასულიყო, სხვებსაც აეტაცებინათ და ეხუმრა ყველას ამ ამბავზე. ახლა კი ისეთი სიტუაციაა, რომ ეს ყველაფერი ცინიკურად გამოჩნდა.



***– სხვა რამ უნდოდათ და სხვა გამოვიდა?***

– შესაძლოა, პოზიტივის შემოტანა უნდოდათ, მაგრამ მდიდარი და ღარიბი ერთმანეთს ვერ გაუგებს. მათ სხვადასხვა პრობლემები აქვთ. ეს ყველაფერი კი ნათლად დაგვანახა ამ ვიდეომ. ამ ორ ადამიანს კარგის გაკეთება უნდოდა და უნდოდათ, სხვებისთვის ეჩვენებინათ, აი, ჩვენც თქვენსავით სახლში ვართ, მაგრამ ვერთობითო, მაგრამ, როდესაც შენ ზურგს გიმაგრებს 8 მილიარდი დოლარი, იმხელა ეზოში გამოჭიმულხარ და გვიჩვენებ, რომ გადასარევად გრძნობ თავს, შეხედონ იმ ადამიანებს, რომლებსაც აწვიმთ, ათოვთ თავზე და იმის ფიქრით აღარ არიან, როგორ გაიტანონ თავი და ოჯახი როგორ გამოკვებონ.

ხომ უნდა გესმოდეს, შე კაი კაცო, რომ ეს შენი პოზიტიური მიდგომა ცინიზმად გამოჩნდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ადამიანს არა აქვს წარმოდგენა, რა ხდება ქვეყანაში.

***– მოწყვეტილია რეალობას?***

– დიახ, მოწყვეტილია. ის იყურება თავისი ფანჯრიდან და ხედავს მარტო კარგს. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ყოველთვის არსებობს ორი პოზიცია, ხანდახან მეტიც. ეს ყველაფერი უნდა შეაჯერო, სწორი მომენტი უნდა შეარჩიო და ამის მიხედვით უნდა იმოქმედო. აი, ამ სწორი მომენტების არდანახვა ძალიან გამოჩნდა ექიმების გამოწვევებსა და ერთმანეთზე თავდასხმაში. ძალიან ცუდი იყო ეს ყველაფერი.

***– პოლიტიზებული სახე მიეცა ამას?***

– მე აბსოლუტურად მესმის ზურაბ გურულის, აბსოლუტურად მესმის მამუკა მაჩაიძისა და ბევრი ქართველი ექიმის, რომლებიც საზღვარგარეთ მოღვაწეობენ, სულ ცდილობენ, რა გამოცდილებაც მიიღეს, ის გააზიარონ სოციალურ ქსელში. კი ბატონო, ზურაც ნაციონალია და იაგო ფრანგიშვილიც ათჯერ უფრო ნაციონალია თავისი შეხედულებებით, მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ცუდები არიან.

მეორე მხრივ, სახელისუფლებო ექიმებიც არიან, რომლებიც, შესაძლოა, „ქართულ ოცნებას“ უჭერენ მხარს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მათზე თავდასხმაც არ შეიძლება.

***– ექიმები დაყვეს ნაცებად და ქოცებად?***

– ეს არის ძალიან ცუდი, თუმცა ახლა სხვა რამეს მინდა გავუსვა ხაზი – არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთი ექიმის მიერ მეორე ექიმის ცოდნასა და მეთოდოლოგიაში ეჭვის შეტანა და მით უმეტეს ამის საჯაროდ გაკეთება. ეს შეიძლება გააკეთო კოლეგებს შორის პოლემიკის დროს ან სამეცნიერო წრეებში საუბრისას, მაგრამ საქვეყნოდ გამოტანა და ექიმის ცოდნაში ეჭვის შეტანა სხვა კოლეგისაგან კატეგორიულად მიუღებელია.

***– სწორედ ზურაბ გურულის მხრიდან წამოსულა კრიტიკული წერილები სოციალურ ქსელში და ჩვენ ბევრჯერ არ ვუპასუხეთო...***

– კი ბატონო, შესაძლოა, მასაც ეშლება. ეს გასაგებია. თუ რაღაცას არ თვლიან სწორად, ეს ერთმანეთში უნდა გაერკვიათ. ექიმებში ასე უნდა ხდებოდეს. საჯაროდ არ უნდა გამოეტა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით ჭიჭინაძე: „გახარია პარლამენტს აგდებულად ექცევა“

## წარმოუდგენელია, ამ კრიზისულ ვითარებაში როგორ გაჩნდა ახალი მონოპოლისტი „ჯიბე“!

ნათია ხურცილავა

**მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებას თქვენ მხარი დაუჭირეთ თუ არა?***

– არა, არ დამიჭერია. მე არც წინა შემთხვევაში დამიჭერია მხარი, რადგან საგანგებო მდგომარეობა არ გულისხმობს მხოლოდ ერთ მხარეს – ჯანმრთელობას. ამ ზომას აუცილებლად მოჰყვება ქვეყნის ეკონომიკის დამძიმება. საგანგებო მდგომარეობის ერთთვიანი ვადებით მიღება და შემდეგ რეგულირება ასევე არასწორი მგონია.

***– პარლამენტში მთავრობის მიდგომებზე, ორმაგ სტანდარტებზე იყო კითხვები. თქვენ რა კითხვები გაქვთ ხელისუფლებასთან?***

– მე კითხვები მაქვს ეკონომიკური მიმართულებით. უკვე ყველა ღიად და თვალნათლივ ხედავს, როგორ ხდება ე.წ. გადალაგება საკუთარი კომპანიების სასარგებლოდ, თუნდაც საკოლმეურნეო ბაზრებთან მიმართებით რაც ხდება, წარმოუდგენელია. წარმოუდგენელია, ამ კრიზისულ ვითარებაში როგორ გაჩნდა ახალი მონოპოლისტი „ჯიბე“! არ არის საინტერესო, როგორ გაჩნდა?! ყველა საკოლმეურნეო ბაზარი დაიკეტა, მაგრამ გაიხსნა „ჯიბე“. ასეთი მიდგომებით შორს ვერ წავალთ.

მარნეულში, სხვაგან ადამიანებს არ აძლევენ შესაძლებლობას, რომ საკუთარი მოყვანილი პროდუქტი ბაზარზე გამოიტანონ, ნაშრომი ულპებათ. გასაგებია რისკები, მაგრამ ამის დარეგულირება ბევრად უფრო კარგად შეიძლებოდა, რომ ეს ადამიანები ასე არ დაზარალებულიყვნენ.

კითხვები მაქვს ბანკებთან დაკავშირებით. თითქოს ადამიანებს ცხოვრებას უმსუბუქებენ და კრედიტები გადაუვადეს. ბანკების კეთილი ნებით, თან გვეუბნებიან, მაგრამ ამით ხომ ამ ადამიანებს პროცენტული განაკვეთი ხომ კიდევ უფრო ეზრდებათ! ეს ხომ დამატებითი სიმძიმეა. ამაზე არავინ საუბრობს.

ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ითხოვს ეკონომიკური ზიანის მაქსიმალურად დათვლას, რამდენი სამუშაო ადგილი დაიკარგება, რამდენი კომპანია გაკოტრდება.

***– თქვენი ინფორმაციით, არ არის დათვლილი?***

– ვერ ითვლიან! ცოტა ხანში ხალხს ფული აღარ ექნება. ასეთია დღევანდელი ეკონომიკური მაჩვენებლები. ამიტომ მთავრობამ უნდა იფიქროს იმაზე, თუ რა შეუძლია, თვითონ შესთავაზოს ამ ხალხს. ხალხი, რომელიც ველარ ქმნის დამატებით ღირებულებას, გაჩერებულია, არ მუშაობს და მხოლოდ მოლოდინშია, რას გაიღებს სახელმწიფო. ეს ეკონომიკა არ არის. მთავრობამ



უნდა იპოვოს ისეთი გამოსავალი, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დაზიანდეს მოსახლეობა. გლობალური ეკონომიკა იცვლება და ამ ფონზე ძალიან მძიმე ხდება ყველაფერი. შეუძლებელი იქნება ერთიანი რეცეპტით, გლობალურად ამ კრიზისიდან გამოსვლა. ეს უნდა გაითვალისწინოს და ამ მიმართულებით იმუშაოს მთავრობამ.

***– პარლამენტში პრემიერის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ანტიკრიზისულ გეგმას მთავრობა ორ დღეში წარმოადგენს.***

– ეს უკვე ირონიაა. ან რა უნდა მოაფიქრდეს, ან რა უნდა შეიცვალოს ორ დღეში?! რა დამოკიდებულებაა ეს?! ორი თვის განმავლობაში რაც ვერ მოიფიქრეს, ორ დღეში როგორ უნდა მოიფიქრონ?! მე ეს ორი თვე ვეუბნები, რომ სერიოზული პრობლემა გვექნება ეკონომიკაში. თუ ეკონომიკას ვერ გრძნობ, ვერც ორი თვე გიშველის და ვერც ორი დღე. მე ბუღალტრულ მანიპულაციაზე არ ვსაუბრობ! ეკონომიკაზე, ეკონომიკური მომავლის განჭვრეტაზე ვსაუბრობ. ეს უნდა გაიგონ კარგად.

***– პარლამენტში პრემიერი უნდა მისულიყო?***

– პრემიერი უკვე ძალიან რეიტინგულია, ყველაზე რეიტინგულია. როგორც ჩანს, პარლამენტი დაბალი ტრიბუნა აღმოჩნდა მისთვის. ხომ ხედავთ, მისი წარმომადგენელი მეზვრიშვილიც კი ისე აგდებულად ელაპარაკა პარლამენტს, რომ შეურაცხმყოფელი იყო ეს ყველაფერი, მაგრამ, რა დამოკიდებულებაც დაინახა პრემიერის მხრიდან პარლამენტის მისამართით, რაც მოისმინა პრემიერის მხრიდან პარლამენტის მისამართით, ის გამოხატა მეზვრიშვილმაც. ასეთი დამოკიდებულება საპარლამენტო რესპუბლიკაში დიდი თავისტკივილი იქნება პარლამენტისთვის. ამის სერიოზულად გაცნობიერება უნდა მოხდეს. ასეთი აგდებული დამოკიდებულება რომ არის დეპუტატებთან მიმართებით, ამიტომ ცარიელი სხდომათა დარბაზი უნდა დაახვედრონ თავმოყვარე დეპუტატებმა ასეთი საქციელის გამო.

პრაქტიკულად, ხელისუფლებამ ამ ქვეყნის მოქალაქეებთან ცალმხრივი ხელშეკრულებების დადება დაიწყო. საკუთარ თავს, რა უფლებასაც უნდა, იმ უფლებას აძლევს. ამას ამ ქვეყანაში აქამდე მხოლოდ ბანკები აკეთებდნენ, ახლა ხელისუფლება აკეთებს.

# არჩევნები, შესაძლოა, დეკემბრის ბოლოს გაიმართოს

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებაზე ოპოზიციამ არგუმენტები მოითხოვა. ასეთ დროს რამდენად მნიშვნელოვანია ოპოზიციის მხარდაჭერა?***

– ნებისმიერი კრიზისის დროს მარტოდ დარჩენილი, ყველასგან გამიჯნული მთავრობა წარუმატებლობისთვის არის განწირული. კონსოლიდაცია, გახსნილობა და ამით თუნდაც საკუთარი წილი პასუხისმგებლობის გადანაწილება, სხვაზე გადანაწილებაც კი არის ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება!

პირველი: ამით უზრუნველყოფილი იქნება გამჭვირვალობა, ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათთვის, ვისაც ამის სურვილი და მზაობა აქვს. მეორე, ამით გამოირიცხება შეცდომები და სუბიექტური გადაწყვეტილებები.

მაგალითად, მთავრობის მიერ შექმნილმა სისტემამ ვიღაცებს მისცა საშუალება, კანონს მიღმა დამდგარიყვნენ. დღეს ვიღაცებმა „იჩალიჩეს“ და სრული კარანტინის პირობებში ვხედავთ, როგორ დადიან მანქანებით. მსგავსი არაერთი მაგალითის დასახელება შეიძლება.

***– პოლიტიკური კონსენსუსის მნიშვნელობაზე საუბრობთ?***

– რასაკვირველია, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანია ამ დროს. მთავრობა უნდა იყოს მოწადინებული, რომ პოლიტიკური მმართველობა დააფუძნოს კოალიციურ მოდელზე. მე არ ვსაუბრობ მომავალზე, დღესვე უნდა გააკეთოს ეს მოქმედმა ხელისუფლებამ.

***– ეს რამდენად შესაძლებელია ჩვენი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით?***

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რამდენიმე პოლიტიკურ ძალას, გნებავთ, ლიდერს საჯაროდ აქვს გაცხადებული მთავრობასთან თანამშრომლობის მზაობა კრიზისის დასაძლევად, რატომაც არა.

***– კონკრეტულად ვის გულისხმობთ?***

– თანამშრომლობის ფორმატებზე ღიად საუბრობენ „ლელო“, „ევროპული საქართველო“. ნიკა მელიამაც ისაუბრა ასეთ ფორმატზე. ამაზე საუბრობს ოპოზიცია, მაგრამ მთავრობის მხრიდან პასუხი არ არის ან არის მხოლოდ იარლიყების მიწებების დონეზე.

***– ამ ფონზე არჩევნების გადაწევის საკითხი რამდენად რეალურია?***

– კონსტიტუციით არჩევნების თარიღი განსაზღვრულია და ეს ოქტომბრის ბოლოა. ერთადერთ შემთხვევას უშვებს კონსტიტუცია, რომ ეს თარიღი შეიცვალოს. ეს არის საომარი და საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში. თუკი 31 ოქტომ-



ბერს საგანგებო ან საომარი მდგომარეობა იმოქმედებს, მაშინ კონსტიტუცია არჩევნების თარიღის გადაწევას უშვებს, თუმცა საგანგებო მდგომარეობის გაუქმებიდან არჩევნები არაუადრეს 45 დღისა და არაუგვიანეს 60 დღისა ტარდება.

უარესი სცენარით რომ წავიდეთ, დეკემბრის ბოლო არის ის კონსტიტუციური ვადები, როდესაც ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები უნდა გაიმართოს.

იაგო ნაცვლიშვილი

# პაატა შეშელიძე: „საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საერთოდ არ იყო საჭირო“

## „რიგი დარგების გადანაწილება ისეთ ჯგუფებზე ხდება, რომლებსაც ხელისუფლება აკონტროლებს“

**პარლამენტმა მხარი დაუჭირა მთავრობის გადაწყვეტილებას საგანგებო მდგომარეობის 22 მაისამდე გაგრძელების თაობაზე. ეს კი ისე მოხდა, რომ ამ ხნის განმავლობაში მთავრობას ანტიკრიზისული გეგმა არ წარმოუდგენია. პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას განცხადებით, ანტიკრიზისულ გეგმას ის პარასკევს წარმოადგენს.**

**რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, საჭირო იყო თუ არა საგანგებო მდგომარეობის ამდენი ხნით გაგრძელება და რა შედეგს მოიტანს ეს ეკონომიკის მიმართულებით? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ახალი ეკონომიკური სკოლა — საქართველოს“ პრეზიდენტი პაატა შეშელიძე საუბრობს.**



***– პარლამენტმა მხარი დაუჭირა საგანგებო მდგომარეობის 22 მაისამდე გახანგრძლივებას. როგორ აფასებთ ამ გადაწყვეტილებას და რა შედეგს მოიტანს ეს ეკონომიკის თვალსაზრისით?***

– ჩემი დამოკიდებულებაა, რომ საერთოდ არ არის საჭირო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ადამიანების შეზღუდვა გრიპის სამკურნალოდ. გრიპი არის დაავადება და არა – ომი. ამის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა მიმართო კლინიკურ მეთოდებს და არა – პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბერკეტებს.

***– ეკონომიკის თვალსაზრისით რთული პროცესები იქნება. თქვენ, როგორც სპეციალისტი, რა ანალიზს გააკეთებთ?***

– ხდება რიგი დარგებისა და საქმეების გადანაწილება ისეთ ჯგუფებზე, რომელთაც ხელისუფლება აკონტროლებს. შესაბამისად, ეს არის პოლიტიკური ბერკეტი ხელისუფლების გამყარებისთვის და მის ირგვლივ ახალი კარის მეწარმეობის მცდელობა. ამიტომ მე ამას არ ვუყურებ, როგორც კლინიკურ პრობლემას და არც როგორც სამედიცინო საკითხს. ეს არის პოლიტიკური საკითხი, ეს არის ხელისუფლების კონსოლიდაციის გზა და ეს არის სამეურნეო ნაკადების პოლიტიკაზე მიბმის გზა, რომელიც ხელისუფლებაში არსებობდა.

თუ ამას ვერ დავინახავთ, მაშინ ავცდებით რეალობას და ვერასოდეს შევაფასებთ ასეთ მოვლენას სწორად. ეს არის პოლიტიკური მოვლენა და არანაირი სამედიცინო ლოგიკა არ დგას მის უკან.

***– ასეთი სახე მხოლოდ ჩვენთან მიიღო თუ მსოფლიოშია ასე?***

– ძალიან ბევრ ქვეყანაშია ასე. ზოგან ადრე მიხვდნენ და არ დაუშვეს, სადაც მეტი დემოკრატიაა. ისეთი ქვეყნები, რომლებიც ჩვენზე ბევრად არიან დაზარალებულები სიკვდილიანობის თვალსაზრისით, როგორებიც არის გერმანია, იტალია და ესპანეთი, უკვე იწყებენ შეზღუდვების მოხ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „სურამში გაგვირემონტეს ფსიქიატრიული და კარანტინის შემდეგ ყველას იქ გაგვიშვებენ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ნათ. პოლიტიზებული ექიმი გურულიო. რატომ არის პოლიტიზებული, ექიმია ეს კაცი და თავის აზრს გამოთქვამს, რა, არა აქვს ამის უფლება?! კი ბატონო, შესაძლოა, ჯობდა, ეს აზრი ვიწრო წრეში განხილულიყო, თუმცა ნამეტანი ქნეს საქართველოში მოღვაწე ექიმებმა.

ძალიან ცუდი პროცესები მოჰყვა ამ ყველაფერს. იქ რატიანს დაესხნენ თავს. მოკლედ, საქმე ის არის, რომ, მგონი, ქართველები კარანტინს ვერ ვიტანთ და გავგიჟდით. აგერ სურამში გაგვირემონტეს ფსიქიატრიული საავადმყოფო, შემოგვაშველეს და ალბათ კარანტინის შემდეგ იქ გაგვიშვებენ ყველას.

***– საგანგებო მდგომარეობის დროს ზარალდება ქვეყნის ეკონომიკა. რას ფიქრობთ ამაზე?***

– უმძიმესი სიტუაციაა. ხალხმა დაკარგა ის ლუკმაპურიც, რომელსაც ყოველდღიური გამომუშავების შედეგად შოულობდა. რა საჭიროა ეს უაზრო რეგულაციები?! ჩვენ მეზობლად, ოჯახში მუშაობს დამხმარე ქალბატონი. ოჯახმა შესთავაზა, რადგან ტრანსპორტი აიკრძალა, მათთან დარჩენილიყო, თუმცა ამ ქალბატონს ოჯახი აქვს და ვერ ახერხებს დარჩენას. შესაბამისად, უწევს წასვლა და მოსვლა და ყოველდღე ვაკეში დადის ვარკეთილიდან, მერე ისევ უკან ბრუნდება. 2 საათი და 10 წუთი მჭირდება იმისთვის, რომ აქ მოვიდეო. რა ქნას? სამსახურს რომ თავი დაანებოს, ოჯახი რით შეინახოს?

რამდენია მის დღეში?! ასევე ჩვენს სადარბაზოს მცველი ჰყავს. ისიც ვარკეთილში ცხოვრობს. ეს მამაკაცი ასაკშია, ვერ ივლის ყოველდღე ფეხით, ამიტომ მუდმივად არის სადარბაზოში და რითაც შეგვიძლია, ვეხმარებით. სახლში ვერ მიდის ეს ადამიანი. გესმით, ეს რას ნიშნავს?! მეორე მხრივ, ეს პატარა გოგო-ბიჭები, როგორც უნდათ, ისე დაქრიან ამ ავტომობილებით.

***– როგორც ყველგან, აქაც ნაცნობმეგობრობა ჭრის?***

– ასეა. რა აუცილებლობა აქვთ გადაადგილების ამ პატარა გოგო-ბიჭებს?! ამ შეზღუდვის შინაარსი, რასაც ჰქვია ავტომობილების გადაადგილება, არის სრული სისულელე. შენ თუ შემოსავალი გაქვს, სხვას არა აქვს და ამას უნდა მიხვდე! გახარია რომ ხარ და ხელფასი რომ გაქვს ცაში ატყორცნილი, შენ უკვე აღარ ფიქრობ იმ უბედური და გაჭირვებული ადამიანის გონებით, მარტო შენი გადმოსახედიდან იყურები, რაც ყოვლად დაუშვებელია.

***– მძიმე სიტუაცია და არც ის ვიცით, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს ყველაფერი. რა იქნება?***

– ნამდვილად არ ვიცი, რა იქნება. სხვა ქვეყნებს რომ ვუყურებ, იქ სულ სხვა სიტუაციაა. გერმანიიდან მომდის მუდმივად ამბები და იქ ტრანსპორტის მოძრაობა არც კი შეწყვეტილა. ჩვენთან მათზე გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ნაკლები ინფიცირებული და გარდაცვლილი გვყავს და, ხომ შეიძლება, ცოტა გამარტივდეს ეს შეზღუდვები! ასევე უდიდესი მავნებლობაა ასეთ დროს ონლაინგაყიდვების შეწყვეტა, შემდეგ რაღაცა რეგულაციების დაწესება, ვისთვის შეიძლება და ვისთვის – არა.

***– აქაც გამოიკვეთა სანაცნობო-საახლობლო წრე და დაიწყეს ბიზნესების ჩაძირვა?***

– ასეა. რა უნდოდათ, რას ერჩოდნენ „სუფთა სახლს“, რატომ დაკეტეს? მოპირდაპირე მხარეს „ნიკორა“ მუშაობს! „სუფთა სახლს“ ყველაფერი ჰქონდა, თანაც კარგ ფასად, რატომ შეუზღუდეს მუშაობა?! ე.ი. მათი ბიზნესი ვიღაცას უნდა.

მშენებლობები ზოგი დაუშვეს, ზოგი – არა. ამიხსნას ვინმემ, რატომ?! ეკონომიკის ამოქაჩვის ერთადერთი გზა არის ინფრასტრუქტურული პროექტები, მშენებლობები! თუ ამასაც შეზღუდავ, რა გამოდის, სულ გინდა, რომ გაანადგურო ეკონომიკა?! კი ბატონო, მაშინ იტიკტოკონ და იყვნენ, რაც უნდათ, ის ქნან! იპოვონ გამოსავალი, სანამ დროა!

ესენი ერთ რამეს ვერ ხვდებიან – როდესაც გარშემო ყველა ცუდად არის, შენ კარგად ვერ იქნები! ეს გამორიცხულია. გონებას მოუხმონ, თორემ ძალიან ცუდად დაამთავრებენ. თუ გადაირია ხალხი და თუ მოშივდათ, მათ ველარაფერი შეაკავებთ, ვერანაირი სანქცია! რანაირად ეტყვი ადამიანს, რომელსაც შია, წამალი არა აქვს, დედა უკვდება, რომ არ იყაჩაღოს.

გავა და იყაჩაღებს!

# რა მიზანი აქვს ოკუპირებულ აფხაზეთში რუსული ქიმიური და ბიოლოგიური ქვედანაყოფების გადმოსროლას?

## „თუ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა სტაბილურია, რისთვის გახდა საჭირო რუსეთის დახმარება, რომელსაც თვითონ პრობლემები აქვს?“

მარიამ მჭედლიშვილი

20 აპრილს ოკუპირებულ აფხაზეთში კორონავირუსის გამო მარტში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა დამთავრდა. ინფექციასთან აფხაზეთში საბრძოლველად რუსეთის ჯარი კი სწორედ საგანგებო მდგომარეობის ჩავლის შემდეგ დაირაზმა და ახალი ნაწილები დაიმატა. ამან აფხაზეთის საზოგადოებაში სამართლიანი გაკვირვება და უკმაყოფილება გამოიწვია.

ოკუპირებული რეგიონის ადმინისტრაცია რუსეთის სამხედროებთან და დიპლომატებთან ერთად სადეზინფექციო სამუშაოებზე შეთანხმდა, ამასთან, ითქვა, რომ აფხაზეთის ხელისუფლება კორონავირუსთან დაკავშირებულ სიტუაციას სრულად აკონტროლებს.

აფხაზეთის საზოგადოებაში შეკითხვები ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ გაჩნდა, როცა გავრცელდა ინფორმაცია ყირიმიდან აფხაზეთში რუსეთის არმიის ქვედანაყოფების გადმოსროლის თაობაზე. საუბარია რუსეთის შავი ზღვის ფლოტის რადიოაქტიური, ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვის ქვედანაყოფებზე. მათ უნდა გაეწიათ დახმარება კორონავირუსთან ბრძოლაში.

აფხაზი ჟურნალისტების შეკითხვების პასუხად აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ ეს სამხედრო ნაწილები მოემართებიან გეგმურ წვრთნებზე. აფხაზეთს კი ისინი დახმარებას გაუწევენ იმ შემთხვევაში, თუ იქნება შესაბამისი თხოვნა სოხუმის მხრიდან.

21 აპრილს ოკუპირებული აფხაზეთის ფაქტობრივი პრემიერი, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ვალერი ბგანბა სხვა პირებთან ერთად შეხვდა რუსეთის დიპლომატებსა და სამხედროებს, მათ შორის, რუსეთის რადიოაქტიური, ბიოლოგიური და ქიმიური თავდაცვის სამსახურის უფროს პაველ გრუზდევს.



ბგანბას თქმით, ხელისუფლება სრულად აკონტროლებს კორონავირუსთან დაკავშირებულ სიტუაციას, გალისა და გაგრის რაიონებში გაუქმებულია კომენდანტის საათი. მდგომარეობა მეტ-ნაკლებად სტაბილურია.

ამასთან, ბგანბამ მაინც გამოძებნა საბაბი იმისთვის, რომ რუსეთის ჯარი აფხაზეთის პრობლემებში ჩარეულიყო. მისი თქმით, უკვე იხსნება დახურული საწარმოები და ბაზრები, ასევე მუშაობენ სახელმწიფო დაწესებულებები. რუსეთის თანადგომა ამ ობიექტების დეზინფექციისთვის დროული იქნებოდა.

– თუ მდგომარეობა სტაბილურია, რისთვის გახდა საჭირო რუსეთის დახმარება?! რუსეთს თვითონ აქვს პრობლემები. თავად დაამარცხა კორონავირუსი? – აღნიშნავს ერთ-ერთი მოქალაქე.

აფხაზეთში გადმოყვანილი ქვედანაყოფები აღჭურვილი არიან სპეციალური მანქანებით, ჩამოსასხმელი სადგურებითა და აეროზოლური დეზინფექციის კომპლექტებით.

კრემლს ოკუპირებულ აფხაზეთში ინფექციის პრობლემის გადაჭრა არ ადარდებს. დიდი ალბათობით, რუსეთი ახდენს კუნთების დემონსტრირებას შავ ზღვაზე და აპროტესტებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს ხელისუფლების ზრუნვას აფხაზეთისადმი.

აფხაზეთში დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებამდე (22 მარტი) საქართველოს ხელისუფლების თხოვნის შედეგად გაეროს წარმომადგენლებმა იქ ჩაიტანეს მედიკამენტები, დამცავი და სადეზინფექციო საშუალებები.

ახლახან აფხაზეთში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ ვიდეოკონფერენციაზე ისაუბრეს პრემიერმა გახარიამ და ევროკომისიის ხელმძღვანელმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა. საუბრის დროს ითქვა, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში რთული სიტუაციაა.

ამ ვიდეოკონფერენციას მწვავედ გამოეხმაურა აფხაზეთის ფაქტობრივი საგარეო უწყება, რომელმაც გამოაცხადა, რომ თუ ევროკავშირს დახმარება სურს, სოხუმს პირდაპირ უნდა დაეხმაროს.

ე.წ. საგარეო სამინისტრომ მტკივნეულად აღიქვა საქართველოს პრემიერისა და ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის საუბარი აფხაზეთზე:

– სიმპტომატურია, რომ საგნობრივ მსჯელობას რეგიონისათვის აქტუალურ პრობლემებზე არ ჩაუვლია პოლიტიზებისა და იარლიყების მიწებების გარეშე. მსოფლიოსთვის პანდემიაც კი საქართველოსთვის ხდება პოლიტიკური სპეკულაციის საგანი და გამოიყენება აფხაზეთის დისკრედიტაციისთვის.

სოხუმის უწყება აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლების განცხადებები ეწინააღმდეგება სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბებულ რეალობას. ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორია“ გამოიყენება რუსეთის ფანტომურ საფრთხესთან საბრძოლველად.

ავტორების მტკიცებით, აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მას საქართველოსთან არაფერი აკავშირებს და, თუ ევროკავშირს აფხაზეთისთვის დახმარების გაწევა უნდა, მას უშუალოდ უნდა დაელაპარაკოს.

სოხუმის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომლის ხელმძღვანელობა გადამდგარმა ხაჯიმბამ ჩამოაყალიბა, ოფიციალური თბილისის მიმართ ყოველთვის ხისტი იყო.

23 აპრილს ფაქტობრივი ინაუგურაციის შემდეგ, უფლებამოსილებების შესრულებას შეუდგება დე ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია. შეცვლის თუ არა სოხუმი თავის რიტორიკას, მალე გამოჩნდება.

# მამუკა გვაძაბია: „კოვიდ 19 ხელოვნურად შექმნილი ვირუსია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია პასუხობს.



***– ბატონო მამუკა, აღდგომა დღეს რუსეთმა დაამთხვია შიდა ქართლში ბორდერიზაციის განახლება, ეკლიანი მავთულხლართის გაბმა. როცა ასეთ დღეს იჭრება სხვის ტერიტორიაზე, მავთულხლართებს აბამს, ხალხის მიერ დამუშავებულ მიწის ნაკვეთებს იტაცებს და სასაფლაოს აქცევს ოკუპირებულ ზონაში, რა ნიშნავს ქრისტიანი ერისაგან ამგვარი ქმედება?***

– ეს არის მოსკოვის ვლადიმირული პოლიტიკა. „ვლადივოსტოკ“ აღმოსავლეთის მფლობელობას ნიშნავს, „ვლადიკავკაზ“ – კავკასიის მფლობელობას. ეს არ ჰყოფნის და დაპყრობილ ტერიტორიას „ვლადიმირს“ არქმევს. ვლადიმირის მოსკოვური პოლიტიკა დღეს საქართველოს წინააღმდეგ იმაზე მიანიშნებს, რომ რუსული ერთმორწმუნეობა არის სუფთა პროფანაცია და იმპერიალისტური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი იარაღი.

ვინც რუსეთსა და რუსეთის პოლიტიკას კარგად იცნობს, მას ეჭვი არასოდეს უნდა ეპარებოდეს იმაში, თუ რა მიზნები ამოძრავებს რუსეთს საქართველოსთან დაკავშირებით. რუსეთის ნეოიმპერიალისტური დოქტრინა, რომელიც ოფიციალურად არის შემუშავებული და რომლის შემუშავებაშიც რეაქციული ძალები მონაწილეობდნენ, საქართველოს სახელმწიფოდ არ განიხილავს. ამის დასტურია ის, რაც ხდება ამ ურთულეს პერიოდში.

***– თქვენ კარგად იცნობ მათ.***

– დიახ. მე კარგად ვიცნობ რუსულ პოლიტიკას. მე რუსეთში არც ვაჭრობით ვიყავი დაკავებული და არც – ბიზნესის კეთებით. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მე ვიყავი მათ შორის მოსკოვში, ვიცი, რა ამოძრავებთ საქართველოსთან დაკავშირებით.

დღესაც რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის 99% საქართველოს სახელმწიფოდ ვერ აღიქვამს. ამის გამოხატულებაა ბორდერიზაციის გაგრძელება საქართველოს ტერიტორიაზე. ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისთვის ამას კომენტარიც არ სჭირდება.

***– ლუგარის ლაბორატორიაზე შეტევაც გასაგებია. ლუგარის ლაბორატორია საქართველოს სუვერენიტეტისთვის უდიდესი მონაპოვარია. შეიძლება, ასეული წლის განმავლობაში ეს ლაბორატორია იყოს საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ძალიან სერიოზული გარანტი.***

– წარმოგიდგენიათ, რა ხდება სუფთა ეპიდემიოლოგიური, სახელმწიფოებრივი, გეოპოლიტიკის თვალსაზრისით. ეს ლაბორატორია, ზოგადად, გეოსტრატეგიული თვალსაზრისით უპირველესი მონაპოვარია 1991 წელს აღდგენილი დამოუკიდებლობის შემდეგ ქართული სახელმწიფოებრიობისთვის. ამას დღევანდელი მოვლენები ადასტურებს.

***– მე მგონი, ამ ლაბორატორიაზე შეტევით რუსეთს რაღაც თავისი ნამოქმედარის დამალვა უნდა.***

– ეჭვი არ მეპარება, რომ ვირუსი, რომელიც ახლა მსოფლიოს ემუქრება, ხელოვნურია. ეს ახლახან ნობელის პრემიის ლაურეატმა ფრანგმა ეპიდემიოლოგმაც დაადასტურა. ის ამტკიცებს, რომ კოვიდ 19 ხელოვნურად შექმნილი ვირუსია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ევროატლანტიკური სივრცის შესუსტებასა და დღევანდელი მსოფლიო წესრიგისთვის საფუძვლის შერყევას ემსახურება.

***– კი მაგრამ, ეს ხომ მათაც შეეხოთ. ვიცით, რომ ვირუსი ჩინეთიდან წამოვიდა და რუსეთშიც აქტიურად ვრცელდება. მაშინ, რას ნიშნავს მათი ასეთი ქმედება?***

– ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია. ვინც ეს ვირუსი შექმნა, ცხადია, მასაც შეეხება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ამ ვირუსის გავრცელება მართვადი პროცესი იყო. ეს მხოლოდ იმისათვის გაკეთდა, რომ თუ დასავლეთი ამ ეპიდემიას ვერ გაუმკლავდა, შეიძლება, დღეს არსებული მსოფლიო წესრიგი შეიცვალოს.

დარწმუნებული ვარ, დასავლეთი ეპიდემიას გაუმკლავდება. უკვე ამერიკის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ დადგება დრო, როდესაც ამ ვირუსის გამავრცელებლები პასუხს აგებენ. ამას დიდი დრო არ დასჭირდება, ნახავთ თქვენ, კონკრეტულად დასახელდება, ვირუსი საიდან და როგორ წამოვიდა.

***– დღეისათვის ვიცით, რომ ვირუსი უხანში აფეთქდა და იქიდან გავრცელდა.***

– ამის გაკეთება აღმოსავლური დესპოტური პოლიტიკით არის ნაკარნახევი და არა, ცივილიზებული დასავლური პოლიტიკით. მიმდინარე პროცესი, ვირუსული პანდემიაც ძალიან დიდი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ამის ფონზე საქართველო კუნძულივით არის.

ზოგიერთი, მათ შორის სხვადასხვა გავლენიანი სტრუქტურის არაკომპეტენტური ქმედების გამო, ღმერთმა დაგვიფაროს და შეიძლება, წინ გვქონდეს მთავარი დღეები, მაგრამ ამ ეტაპზე მაინც პრობლემებს ვუმკლავდებით, რაც აცოფებთ კრემლში.

რუსეთის პრეზიდენტთან დაახლოებულმა ერთ-ერთმა ვირუსოლოგმა განაცხადა, რომ ქართველი ერი გარყვნილი ერია და, თუ ვინმემ პასუხი უნდა აგოს, მათ პასუხი უნდა აგონ, ხომ ხედავთ, როგორი მომზადებული შეხვდნენ ვირუსსო, გაცოფებული არიან. ასეთია რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის განწყობა, გაცოფებული არიან, საქართველო როგორ ინარჩუნებს თავს.

# პაატა შეშელიძე: „საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საერთოდ არ იყო საჭირო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

სნას. გერმანიამ უკვე დაიწყო და იტალია და ესპანეთიც გეგმავენ.

ვხედავთ, რომ მარნეულში იყო ძალიან დაძაბული მიტინგი. ხალხი გამოვიდა ქუჩაში და პროტესტი გამოხატა იმის გამო, რომ მოსავალს ვერ ყიდიან ამ შეზღუდვების გამო. ისეთ ქვეყნებში, სადაც მეტად არის დემოკრატია, უფრო მალე მივიდნენ ამ დასკვნამდე. ჩვენთან, სამწუხაროდ, ხელისუფლება ზედმეტად ცენტრალიზებულია. ძალიან ბევრი ადამიანი ამას მხარს უჭერს შეგნებულად თუ შეუგნებლად, ზოგი შიშის გამო, ზოგი პანიკის გამო, ზოგი უცოდინრობის გამო და ა.შ. სამწუხაროდ, ეს პროცესი შორს წავიდა.

საქართველოში ოპოზიცია დისკრედიტებულია, იმიტომ, რომ მხარი დაუჭირა საგანგებო ვითარებას და ბევრი სალაპარაკო არ აქვთ მათ ამ მიმართულებით. ვგულისხმობ მათ უმეტესობას, თორემ რამდენიმე გამორჩეული ადამიანი იქაც არის, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ მხარი დაუჭირეს არასწორ ნაბიჯებს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეკონომიკურად ეს ნიშნავს ხელისუფლების ხელში ბერკეტების მობილიზებას. ეს არის მისთვის ახალი შანსი და ამ შანსს იყენებს. აქ დგას საქართველოს ეკონომიკის კონტროლის, მომდევნო არჩევნებისა და ადამიანების მართვის საკითხები.

***– მარტივად რომ ვთქვათ, ის ეკონომიკური სფეროები, რომელთაც ხელისუფლება ვერ აკონტროლებდა, ახლა უკვე ხელში ჩაიგდო და ყველაფრის გაკონტროლება დაიწყო?***

– შეიძლება, ასეც ითქვას. შეიძლება, ვერ აკონტროლებდნენ, არ სჭირდებოდათ და ა.შ. სხვადასხვა ვარიანტი შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ არჩევნების წინ მათ აწყობთ, რომ ყველაფერი დაიქვემდებარონ. ოლიგარქიების სისტემების გაგრძელებაა, რომელიც დაიწყო წინა მთავრობის დროს, როდესაც მსხვილ კომპანიებს გაუმარტივეს პროცედურები, შეზღუდეს საქართველოში ნავთობის შემოტანა და რამდენიმე კომპანიას მისცეს პრივილეგიები, იქნება ეს სააფთიაქო თუ სხვა სექტორები.

***– მონოპოლიებია სახეზე?***

– მე არ დავარქმევ მონოპოლიას, იმიტომ, რომ მხოლოდ ერთ კომპანიას არ აქვს მიცემული უფლება. ეს არის ჯგუფი, რომელიც პოლიტიკურად დაინტერესებულია. ეს არის პროცესი, რომელიც ახლა მიმდინარეობს.

***– მსხვილი ბიზნესი უფრო ძლიერდება და მცირე და საშუალო ბიზნესი სუსტდება?***

– ზოგადად, ასეა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არსებული მსხვილი ბიზნესი ძლიერდება. შეიძლება, ზოგიერთი ახლა წარმოიქმნას და გამსხვილდეს. შეიძლება, ზოგიერთი მსხვილი ბიზნესის მდგომარეობა კრიტიკული იყოს და მათი სხვა კომპანიებით ჩანაცვლება მოხდეს. მე ასე ვიტყოდი, რომ დაინტერესებული კლანური ბიზნესის გამსხვილება მიმდინარეობს. ცოტა ხნის შემდეგ, შეიძლება, სულ სხვა „მსხვილი ხალხი“ იყოს. არსებულზე არ არის მხოლოდ ლაპარაკი, თუმცა არსებულიდანაც ძალიან ბევრი დაუწვა, ყველაფერში მხარს უჭერს და არავის გამოუთქვამს კრიტიკული აზრი.

***– გვეუბნებიან, რომ პარასკევს იქნება ანტიკრიზისული გეგმა. რას ელით?***

– წარმოუდგენელი რაღაცაა, ჯერ ყველაფერი გააჩერეს და ახლა უნდა წარმოადგინონ გეგმა. როდესაც რაღაცას აჩერებ, უნდა წარმოადგინო გეგმა, რატომ აჩერებ. გააჩერეს ორი თვე და გვეუბნებიან, გეგმას ახლა გთავაზობთო. ამბობენ, ამ გეგმის დადებას ახლა ვაპირებთ, რადგან აქამდე არ ვიცოდით, რა მოხდებოდაო. თუ არ იცი, რა მოხდება, რატომ თვლი, რომ ეს გზაა სწორი, რაც აირჩიე. როდესაც რაღაცას აკეთებ, რომლის შინაარსიც არ გესმის, უმეტეს შემთხვევაში მცდარ გადაწყვეტილებას იღებ.

პოლიტიკურად, შესაძლოა, სწორად აკეთებენ ამ ყველაფერს, იმიტომ, რომ საკუთარ თავზე ფიქრობენ, მაგრამ, ეკონომიკური ლოგიკიდან გამომდინარე, არასწორი გადაწყვეტილებაა. მარტივ რაღაცას გეტყვით: საჭიროა თუ არა ქვეყანაში პირბადეები? – ალბათ, საჭიროა, ხომ?! რომელიც შეიკერა ახლახან, თანაც – არასაკმარისი რაოდენობით. ეს იმიტომ მოხდა, რომ დაიწყეს იმ ადამიანების დამუნათება, რომლებმაც დაიწყეს პირბადეების დამზადება ან მათი ძვირად გაყიდვა, ანუ ეკონომიკური მოტივაცია მოშალეს, შესაბამისად, დაკარგეს თვე-ნახევარი და მერე თქვეს, რომ თურმე საჭირო ყოფილა და მიახარჯეს ფული ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებს. რამდენიმე სიუჟეტი იყო, სადაც ჩანს ეს, საკუთარი წრის ადამიანებს მისცეს. ალბათ, თქვენც ნახავდით ამ სიუჟეტს.

***– ანტიკრიზისული გეგმისადმი თქვენი მოლოდინი სკეპტიკურია?***

– ჯერ არ ვიცი, რა გეგმა იქნება, მე ვსაუბრობ დამოკიდებულებაზე. როდესაც წარმოადგენენ, მერე ვისაუბროთ.

***– აქცენტი რაზე იქნება გაკეთებული?***

– იმაზე, რა დახმარებები უნდა გაეწიოს საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებიდან აღებული სესხების მეშვეობით. ჩემი აზრით, ასეთი მიდგომა არასწორია. ჯერ ერთი, დახმარება ისეთ საქმეში, რომელიც არ გაკეთებულა, არასწორია, მეორე, მათ უნდა მისცე იმ სახის დახმარება, რომ რასაც ისინი გამოუშვებენ, უფრო მეტი დაიტოვონ, ანუ საგადასახადო შეღავათები უფრო გონივრული იქნება, ვიდრე იაფი სესხის მიცემა და ა.შ. ჯერჯერობით არ ვიცი, რას გვთავაზობენ.

***– ანუ თქვენ მაინც გადასახადების შემცირებას ემხრობით?***

– უფრო გონივრული იქნება ეს, იქნება ეს საშემოსავლო, მოგების გადასახადი თუ სხვა. თუ მე არაფერი გავაკეთე და ფული მომცეს, ეს გონივრული არ არის. ფული არ უნდა გადაიხადონ იმაში, რომ ვიღაცამ არაფერი აკეთოს.

# სოსო გაბრიაძეს ბრალი თამუნა ანთელავას განზრახ მკვლელობაში წარედგინა

## პოლიციამ „ვიკინგიდან“ გასროლილი ტყვიის 13 მასრა ამოიღო

21 აპრილს თბილისის პროკურატურამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს სოსო გაბრიაძეს ბრალდება განზრახ მკვლელობის მუხლით წარუდგინა.

ეს მუხლი შვიდიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 19 აპრილს, სოსო გაბრიაძე იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ ბინაში, დაახლოებით 21:00 საათზე, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი გავიდა საცხოვრებელი ბინის აივანზე და როდესაც ქვეყანაში გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იმყოფებოდა საცხოვრებელ სახლებში, თავისი კუთვნილი „ვიკინგის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღიდან განახორციელა რამდენიმე გასროლა საცხოვრებელი კორპუსების მიმართულებით.

შედეგად, სოსო გაბრიაძის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ერთ-ერთი ტყვია თავის არეში მოხვდა საკუთარ საცხოვრებელ ბინაში, მყოფ თამუნა ანთელავას, რომელიც მიღებული ცეცხლნასროლი ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა.

საქმეზე ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. მათ შორის შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, საიდანაც ამოღებულ იქნა გასროლილი ტყვიის 13 მასრა და ს.გ.-ს საკუთრებაში არსებული „ვიკინგის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი.

სროლის მანძილზე დანიშნულია ექსპერტიზა, ასევე ექსპერტების მიერ განხორციელდა ნიმუშების აღება.

მოწმის სახით გამოიკითხა არაერთი პირი.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ სროლის განხორციელების მომენტში სოსო გაბრიაძე საცხოვრებელ ბინაში იმყოფებოდა მარტო. მასთან სტუმრად მყოფმა პირებმა სოსო გაბრიაძის ბინა დატოვეს სროლის განხორციელებამდე რამდენიმე ხნით ადრე, რაც დაადასტურეს მოწმის სახით გამოკითხვისას როგორც თავად აღნიშნულმა სამმა პირმა, ასევე საცხოვრებელი კორპუსის დატოვების ფაქტი ასახულია კორპუსზე დამონტაჟებული სათვალთვალო კამერით.

* * *

თავად სოსო გაბრიაძემ აღიარა, რომ აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით ჰაერში რამდენიმეჯერ გაისროლა.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დაკავებული სამართალდამცავის ადვოკატმა განუცხადა. როგორც უფლებადამცველი ყვება, პოლიციელი ემოციურად ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და მომხდარ ფაქტს ძალიან განიცდის.

— ძალიან წუხს, ძალიან ნანობს, ემოციურად ძალიან მძიმე მდგომარეობაშია თვითონ, თუ ეს შედეგი, რაც დადგა, მისმა მოქმედებამ გამოიწვია. ძალიან განიცდის იმ ფაქტს, რაც მოხდა, მით უმეტეს, პოლიციელია, ადამიანს, რომელიც კანონს იცავდა, ედავებიან, რომ მისმა გასროლილმა ტყვიამ სრულიად უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა.



ძალიან რთული სიტუაციაა, ეს ადამიანი გასროლის ფაქტს ადასტურებს, მისი მხრიდან იარაღის გასროლა რამდენჯერმე მოხდა, თუმცა, გასროლა მოხდა ჰაერში, ველოდებით ექსპერტიზის დასკვნას, მტკიცებულებებს რას გადმოგვცემენ. ამ ადამიანს რომ ვინმეს მოკვლის განზრახვა ჰქონდა, ან დაენახა, თავის მიერ გასროლილი ბრმა ტყვია ვინმეს როგორ მოხვდა, მსგავს რამეს ადგილი არ ჰქონია.

როგორც იცით, ამ ტყვიამ დაახლოებით 600 მეტრი იფრინა, ჯერ საქმის მასალებში არ ჩამიხედავს. მე, როგორც ადვოკატმა, არ ვიცი, დამდგარი შედეგი არის თუ არა ამ ადამიანის მიერ განხორციელებულ მოქმედებასთან დაკავშირებული. თუმცა, ვიმეორებ, ის გასროლის ფაქტს ადასტურებს, სააღდგომო დღესასწაულთან დაკავშირებით ჰაერში რამდენიმე გასროლა განახორციელა, თუ არ ვცდები, ნასვამ მდგომარეობაში იყო, — განაცხადა გაბრიაძის ადვოკატმა.

* * *

გუშინ, 22 აპრილს, სოსო გაბრიაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე რომან ხორავამ გამოაცხადა.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე — დაკავებული სამართალდამცავისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას, დაცვის მხარე კი 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ მის გათავისუფლებას ითხოვდა.

სასამართლო პროცესზე სიტყვის თქმის უფლებით ისარგებლა თავად ბრალდებულმაც.

სამართალდამცავებმა პოლიციელი გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ბრალდებით დააკავეს. თუმცა, მოგვიანებით, პროკურატურამ მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე განზრახ მკვლელობის მუხლით წარუდგინა.

# „მეგობრები იყვნენ და შელაპარაკება მოსვლიათ“

## მესტიაში სასაზღვრო პოლიციელმა მეორე პოლიციელი მოკლა




20 აპრილს მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ მულახში მკვლელობა მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მულახის თემის რწმუნებულმა სოსო ზურაბიანმა განუცხადა, შემთხვევამდე შელაპარაკება მოხდა თანამშრომლებს შორის, რომლის დროსაც სასაზღვრო პოლიციის ერთი თანამშრომელი ცეცხლსასროლი იარაღის გასროლით გარდაიცვალა.

— სამწუხარო ფაქტი მოხდა, გარდაცვლილია ერთი ადამიანი, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები არიან ორივენი. ცეცხლსასროლი იარაღით მოხდა მკვლელობა. შელაპარაკება ჰქონიათ, გარდაცვლილი ნასვამი ყოფილა. გაისროლა თანამშრომელმა. ორივე სამსახურში იყო. ის მეორე არ არის დაკავებული. არავინ იცის, გაიქცა იქიდან სადღაც ტყეში გავიდა, ეძებენ და ვერ პოულობენ. 35-38 წლის ბიჭები იქნებოდნენ, მეგობრები იყვნენ, — განაცხადა სოსო ზურაბიანმა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა მესტიის რაიონის სოფელ მულახში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე გამოძიება 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) დაიწყო.

პროკურატურის ინფორმაციით, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 20 აპრილს მესტიის რაიონის სოფელ მულახში შსს სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის მულახის მე-2 სასაზღვრო პუნქტის მესაზღვრემ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ცეცხლსასროლი იარაღიდან ამავე სასაზღვრო პუნქტის თანამშრომელს ბ.ი.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა, რის შედეგადაც ბ.ი. ადგილზე გარდაიცვალა.

სისხლის სამართლის საქმეზე ტარდება გადაუდებელი და აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, ასევე დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავების მიზნით ხორციელდება შესაბამისი სამძებრო ღონისძიებები.

# 40 წლის მამაკაცი საჩხერეში 80 წლის მამის მკვლელობისთვის დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ო.ბ. ოჯახის წევრის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 19 აპრილს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახიოთში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ნაჯახის გამოყენებით სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანება მიაყენა მამას — 1939 წელს დაბადებულ ა.ბ.-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი — ნაჯახი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გარდაცვლილის მეზობლები „მთავართან“ ამბობენ, რომ მამაკაცს, რომელმაც საკუთარი მამა მოკლა, ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა.

— ის ბიჭი შეურაცხადი იყო. 3-ჯერ ჰყავდათ ფსიქიატრიულში, უმკურნალეს, მაგრამ კაცი სასტიკად მოკლა და მერე დაანაწევრა... საღამოს საქონელი დავაბინავე და გარეთ გამოვედი. ოლეგს შევეკითხე, მამაშენი სად არის-მეთქი. მამაჩემი აწი აღარ შეგაწუხებს, მოვკალიო.

გამასწარი, თორემ შენც მოგკლავო, ასე მითხრა, — ამბობენ მეზობლები.

გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# 112-ში უმიზეზოდ ნუ დარეკავთ!

## შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

მოქალაქეები გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს — 112-ს უკავშირდებიან ქვეყანაში მოქმედი რეგულაციებისა და საგანგებო მდგომარეობის წესების თაობაზე, ასევე, საინფორმაციო სახისა და ეგრეთ წოდებული დროებითი ნებართვების შესახებ შეკითხვებით, რის გამოც გადატვირთულია „112“-ის თბილისისა და რუსთავის ცენტრები.

21 აპრილს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში 16.908 ზარი შემოვიდა. შემოსული ზარების 65% იყო არამიზნობრივი ხასიათის. 22 აპრილს, 12 საათის მონაცემებით, სულ შემოვიდა 4.966 ზარი. შემოსული ზარების 63%, ასევე, არის არამიზნობრივი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, რომ საგანგებო მდგომარეობის წესებთან დაკავშირებით და დროებითი ნებართვების შესახებ 112-ზე არ დარეკონ. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ გადაადგილებასთან დაკავშირებით დროებით ნებართვებს არ გასცემს.

მოქალაქეები, რომლებსაც რეალურად სჭირდებათ გადაუდებელი დახმარება, სახანძრო-სამაშველო სამსახურის, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა ან საპატრულო პოლიციის გამოძახება, გადატვირთულობის გამო ვერ ახერხებენ „112“-თან დაკავშირებას.

გთხოვთ, მიეცით დაკავშირების საშუალება მათ, ვისაც რეალურად სჭირდება გადაუდებელი დახმარება და საგანგებო სამსახურების გამოძახება, ვისთვისაც წამები გადამწყვეტია.

# შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 102 ფაქტი გამოავლინა

პოლიცია, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულებისა და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმისა და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 102 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ 21 აპრილის 21 საათიდან 22 აპრილის დილის 6 საათამდე ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე მთელი ქვეყნის მასშტაბით 56 მოქალაქე დააჯარიმა.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრებისა და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო სულ 10 მოქალაქე დააჯარიმეს.

სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 36 პირი დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიულის — 15.000 ლარით.

# ყინწვისის მამათა მონასტრის წინამძღვარმა მამა დავით აქიაშვილმა არქიმანდრიტი საბა ჟღენტი დაჭრა

ყინწვისის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, მამა დავით აქიაშვილმა, ყინწვისის ავაზაკის სახელობის ახალი მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი საბა ჟღენტი დაჭრა.

არსებული ინფორმაციით, კონფლიქტის დროს მამა დავით აქიაშვილმა არქიმანდრიტის მისამართით ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა, რის შედეგადაც საბა ჟღენტი ხელის არეში დაიჭრა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში დეტალურ ინფორმაციას არ ავრცელებენ, თუმცა ადასტურებენ, რომ გამოძიება დაწყებულია 236-ე მუხლით, რაც იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევის დროს ადგილზე რუის-ურბნისის მიტროპოლიტი, მეუფე იობიც იმყოფებოდა, თუმცა ის მედიის ზარებს არ პასუხობს. უცნობია საპატრიარქოს პოზიციაც.

# თბილისში მეუღლის მიმართ განხორციელებული ძალადობის ბრალდებით ა.კ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული ა.კ., ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა მამაკაცმა ცოლს, 1972 წელს დაბადებულ ნ.მ.-ს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განხორციელებულ ძალადობას გულისხმობს.

# ყველაფერი კარგად იქნება



ისე ლაპარაკობს ეს წუწუკიანი, თითქოს ახლა ჩამოფრინდა პარიზიდან. ამ ბრძენმა კაცმა, ელიზბარ ჯაველიძემ, სწორად ბრძანა, ჩაკეტეთ საზღვრები, გაივსო საქართველო თურქებით, ირანელებით — შემოდიან და შემოდიან. ეს წუწუკიანი, თითქოს საქართველოს შვილი არ იყო, უცხოელებზე რომ აძლევ ბინადრობის უფლებას, შენ ხარ საქართველოს მტერი. გაივსო საქართველო თურქებითა და ირანელებით. ჩაბრძანდით ბათუმში და ნახეთ, თურქები როგორ ერთობიან. მე, როგორც ნახალოვკელმა კაცმა, შიში არ ვიცი, ისევე, როგორც ყველა ნახალოვკელმა. აქ კეთილშობილი და ვაჟკაცი ხალხი ცხოვრობს. ისინი თბილები და თავიანთი უბნის მოსიყვარულეები არიან — თითქოს ერთი ოჯახიაო, თანაც — მაგარი სტუმართმოყვარე. ღმერთი ფარავდეთ და წმინდა სვეტიცხოველი. ამინ!

საქართველოს ბევრი ომი და ავადმყოფობა გადაუტანია, დაწყებული შავი ჭირიდან. ამასაც გადაიტანს იმიტომ, რომ საქართველოა და ღმერთი მუდამ ჩვენთან არის! არ შეგეშინდეთ, ჯიგრებო. ღმერთი ჩვენთან არის!

*თქვენი მოსიყვარულე კაცი იბო დოლიძე*

## ტრამპმა ჯონსონს დაურეკა

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ბრიტანეთის პრემიერ ბორის ჯონსონს დაუკავშირდა. საუბარმა ნახევარ საათს გასტანა.

ტრამპმა ჯონსონს კორონავირუსისაგან გამოჯანმრთელება მიულოცა.

ჯონსონმა, თავის მხრივ, მადლობა გადაუხადა მას და განაცხადა, რომ ბრიტანეთი და აშშ მომავალშიც მჭიდროდ ითანამშრომლებენ.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ ამ თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

## ესპანეთი კარანტინს მაისის მეორე ნახევრიდან მოხსნის

### საგანგებო მდგომარეობა, შესაძლოა, 9 მაისამდე გაგრძელდეს



ესპანეთის პრემიერ-მინისტრ პედრო სანჩესის თქმით, ქვეყანაში კორონავიუსის გამო დაწესებული მკაცრი კარანტინის მოხსნა მაისის მეორე ნახევრიდან იგეგმება.

მისი განმარტებით, ზომების მოხსნა ეტაპობრივად მოხდება. ამასთან, ესპანეთის პრემიერი აპირებს, პარლამენტს თხოვნით მიმართოს, საგანგებო მდგომარეობა 9 მაისამდე გახანგრძლივდეს.

მკაცრი კარანტინი ქვეყანაში 14 მარტს დაწესდა. ესპანეთში, აშშ-ის შემდეგ, კორონავირუსის ყველაზე მეტი შემთხვევაა დაფიქსირებული.

## ვენესუელაში მადუროსა და გუაიდოს შორის მოლაპარაკებები დაიწყო

ვენესუელაში დე ფაქტო პრეზიდენტ მადუროსა და ოპოზიციის ლიდერ გუაიდოს შორის მოლაპარაკებები დაიწყო. როგორც ცნობილია, საპრეზიდენტო არჩევნებში გუაიდომ გაიმარჯვა, მაგრამ მადურომ ყალბი შედეგები გამოაქვეყნა და ხელისუფლება შეინარჩუნა. მსოფლიოს 60 ქვეყანა პრეზიდენტად გუაიდოს აღიარებს. მიუხედავად ამისა, მადურო წასვლას მაინც არ აპირებს. მას მხარს უჭერენ რუსეთი და ჩინეთი.

მოლაპარაკების დეტალები უცნობია.

## იტალია შეზღუდვების მოხსნას 4 მაისიდან დაიწყებს



იტალია მიმდინარე კვირის ბოლოსთვის კორონავირუსის გამო დაწესებული ზომების მოხსნის გეგმას გაასაჯაროებს.

ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჯუზეპე კონტემ განაცხადა.

მისივე თქმით, შეზღუდვების მოხსნა 4 მაისიდან ეტაპობრივად დაიწყება.

– ნეტა შემეძლოს იმის თქმა: მოდი, ყველაფერი გავხსნათ ახლავე, ხვალიდან, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება უპასუხისმგებლობა იქნება. ასე მოქცევა ვირუსის უკონტროლო გავრცელებას გამოიწვევს და ყველანაირ ძალისხმევას, რაც კი აქამდე გვქონია, ხაზს გადაუსვამს, – აღნიშნა კონტემ.

## კიმ ჩენ ინს გულის ოპერაცია გაუკეთეს



ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი, რომელსაც ცოტა ხნის წინ გულის ოპერაცია ჩაუტარეს, სავარაუდოდ, მძიმე მდგომარეობაშია.

ეჭვი კიმ ჩენ ინის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის შესახებ მას შემდეგ გაჩნდა, რაც ის ბაბუის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო ღონისძიებას არ დაესწრო.

ჩრდილოეთ კორეის ლიდერს 12 აპრილს გულსისხლძარღვთა სისტემის პროცედურა ჩაუტარეს. აღნიშნული პროცედურის ჩატარება მას თამბაქოს ჭარბი მოხმარებისა და გადაჭარბებული წონის გამო დასჭირდა.

კიმ ჩენ ინის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით კითხვა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპსაც დაუსვეს. მისი თქმით, იმედი აქვს, რომ კიმ ჩენ ინი კარგად არის.

– იმედი მაქვს, კარგად არის. მე მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და მინდა, კარგად იყოს. ვუსურვებ მას წარმატებასა და წარმატებას. ძალიან სერიოზული ცნობები გავრცელდა, მაგრამ არავის დაუდასტურებია. „სიენენი" წერდა და, როცა „სიენენი" ავრცელებს მსგავს რაღაცას, მე მას დიდ სანდოობას ვერ მივანიჭებ, – აღნიშნა ტრამპმა.

## ტრამპი აშშ-ში მიგრანტების მიღებას 60 დღით წყვეტს

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ კორონავირუსთან ბრძოლის ფონზე ის აპირებს, ხელი მოაწეროს განკარგულებას, რითაც ქვეყანაში მიგრანტების მიღება დროებით შეწყდება.

„უხილავი მტრის მიერ განხორციელებული შეტევის ფონზე, ასევე ჩვენი დიდებული ამერიკის მოქალაქეების სამუშაო ადგილების დასაცავად, ხელს მოვაწერ განკარგულებას, რომლითაც აშშ-ში იმიგრაცია დროებით შეწყდება", – წერს დონალდ ტრამპი სოციალურ ქსელ „ტვიტერში".

პრეზიდენტი აცხადებს, რომ საუბარია ქვეყანაში იმიგრაციის დროებით შეჩერებაზე.

პირველ ეტაპზე განკარგულება მხოლოდ მუდმივი ბინადრობის უფლების მოპოვების მსურველებს შეეხებათ და ძალაში 60 დღის განმავლობაში იქნება.

– უსამართლობა იქნება, რომ ის ამერიკელები, რომლებმაც სამსახური კორონავირუსის გამო დაკარგეს, საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა იმიგრანტებმა ჩაანაცვლონ. მსურს, ამერიკელ მოქალაქეებს დასაქმების საშუალება ჰქონდეთ. არ მსურს, ამ პირობებში კონკურენციის გაწევა მოუწიოთ, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

პრეზიდენტის განმარტებით, მისი ადმინისტრაცია იმიგრაციასთან დაკავშირებით დამატებითი ზომების გატარებასაც განიხილავს, რომლის მიზანი ამერიკელი მუშახელის დაცვაა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# კალეიდოსკოპი

## ავტომატით მოკლული ნიანგის მუცელში შეჭმული ბავშვი იპოვეს



ინდონეზიის პროვინცია მალუკუში პოლიციელებმა მოკლეს ნიანგი, რომელმაც ბავშვი მოკლა და შეჭამა.

ექვსი წლის ბიჭი მდინარეზე მეგობრებთან ერთად საბანაოდ წავიდა და მან ცურვა მაშინაც კი გააგრძელა, როდესაც სხვები წყლიდან უკვე ამოსულები და წასულები იყვნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი უკან მობრუნდნენ, მაგრამ ვერსად ნახეს. ამის შემდეგ მათ მისი გაუჩინარების შესახებ უფროსებს აცნობეს. ბავშვის პოვნა ვერც მისი ოჯახის წევრებმა და ვერც მისმა თანასოფლელებმა შეძლეს. ამის შემდეგ ძებნაში პოლიცია და მაშველები ჩაერთვნენ.

მეორე დღეს სოფლის მაცხოვრებლებმა მდინარის მახლობლად ოთხმეტრიანი ნიანგი შენიშნეს. მათ იეჭვეს, რომ ბიჭის გაუჩინარების მიზეზს სწორედ ეს რეპტილია წარმოადგენდა. სოფლის მამასახლისის თხოვნით პოლიციელებმა მტაცებელი ცხოველი მოძებნეს და ავტომატით დაცრილეს. მოკლულ რეპტილიას მუცელი გაუფატრეს და დაკარგული ბიჭის ნარჩენებს მიაგნეს, რომლებიც მის მშობლებს გადასცეს მიწისთვის მისაბარებლად.

## სამსახურში მისულ თანამშრომლებს ოფისში გველი დახვდათ

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ იანდინიში სამსახურში მისული თანამშრომლები ოფისში რომბისებურ პითონს გადააწყდნენ. გველებზე მონადირის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.




თანამშრომლებმა ოფისში იატაკზე მოსრიალე ქვეწარმავალი შენიშნეს და გველების დაჭერის სპეციალისტს დაურეკეს. ადგილზე მისულმა სტიუარტ მაკენზიმ რეპტილიას სამუშაო მაგიდის საბუთებისთვის განკუთვნილ უჯრაში მოკალათებულს მიაგნო. მან კამერაზე გადაიღო, თუ როგორ იპოვა და გააუვნებელყო მან პითონი.

– კიდევ კარგი, რომ არავინ ჩაყო ხელი ამ უჯრაში, – აღნიშნა სტიუარტმა.

მაკენზის ვარაუდით, მეტრ-ნახევარი სიგრძის გველმა შენობაში ავტოფარეხის კარიდან შეაღწია, რომელიც სამუშაო საათებში ღიაა. საბოლოოდ დაუპატიჟებელი სტუმარი ოფისიდან გაიყვანეს და მოშორებით, ბუნებაში გაუშვეს.

## მამაკაცმა შენობაში შეღწევა მილიდან ცადა და გაიჭედა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში მამაკაცი შეეცადა, ბიზნესცენტრის ოფისში სავენტილაციო მილიდან შეეღწია, მაგრამ გაიჭედა.

ამ შემთხვევის ამსახველ ვიდეოჩანაწერში ნაჩვენებია, თუ როგორ ამოჰყავთ მაშველებს მამაკაცი, ვინაიდან თვითონ განძრევასაც ვერ ახერხებს. ის მილში ფეხებით ჩაეშვა და მისი სხეულის ნაწილი შიგნით აღმოჩნდა, მაგრამ განიერი მკერდის გამო მეტად ჩაძრომა ველარ შეძლო. სახანძრო სამსახურს მის გასათავისუფლებლად მინიმუმ 45 წუთი დასჭირდა.

რატომ ჩაძვრა მამაკაცი მილში, უცნობია. ამის გარკვევას პოლიცია შეეცდება. მამაკაცის ვინაობა დაუდგენელია, ასევე უცნობია, თუ რა დრო დაჰყო მან ასეთ მდგომარეობაში.

აღსანიშნავია, რომ ოფისის სახურავზე ის ჰიუსტონის მკვიდრმა ოსკარ რამირესმა შენიშნა. თვითმხილველის თქმით, სავარაუდო ქურდმა განაცხადა, რომ თითქოსდა მას ვიღაცა მისდევდა და მან დევნისგან თავის დაღწევა ასეთი ხერხით გადაწყვიტა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# კალეიდოსკოპი

## ზვიგენი ჟურნალის რედაქტორს თავს დაესხა



ახალზელანდიური ჟურნალის Adventure Magazine-ს რედაქტორს ქალაქ ოკლენდის მახლობლად თევზაობის დროს ზვიგენის თავდასხმისგან თავის გადარჩენა დასჭირდა.

სტივ დიკინსონი კაიაკით თევზაობას აპირებდა. თევზის მისაზიდად მან ზღვაში ტომრით სატყუარა ჩააგდო, რომელიც თოკით ნავს გამოაბა და გაცურა. ნაპირიდან დაახლოებით 800 მეტრში მეთევზე რედაქტორის ყურადღება უცნაურმა ხმამ მიიპყრო. მან უკან მიიხედა და 2,5-3 მეტრი სიგრძის დიდი თეთრი ზვიგენი შენიშნა. მტაცებელმა ნავის ქვეშ გაცურა, მის ცხვირს ცხვირი გაჰკრა და შემდეგ ისევ წყალში ჩაყვინთა.

დიკინსონმა დანა ამოიღო და თოკი გადაჭრა, რომელზეც სატყუარიანი ტომარა იყო გამობმული.

– ეს ზვიგენები იმით არიან ცნობილი, რომ ყველაფერს კბილს უსინჯავენ, – განმარტა მან, – ისინი ასე არკვევენ, თუ რასთან აქვთ საქმე. კაიაკისთვის რომ ეკბინა, წყალში ჩავვარდებოდი და მაშინ უეჭველად შემჭამდა, ამაში ეჭვი არ მეპარება.

ამის შემდეგ ზვიგენი ჯერ ტომარას გაეკიდა, თუმცა მალევე მოტრიალდა და კვლავ კაიაკს შეუტია.

თავდაპირველად დიკინსონმა მტაცებელი თევზის მოგერიება ნიჩბით ცადა, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო. მაშინ მან ღუზაც გადაჭრა და სასწრაფოდ ნაპირისკენ გაცურა.

– რაც შემეძლო, სწრაფად ვუსვამდი ნიჩბებს, – იხსენებს რედაქტორი, – ალბათ, ოლიმპიადაზე რომ ვყოფილიყავი, ოქროს მედალს მივიღებდი.

ზვიგენი მას გარკვეული დროის განმავლობაში მისდევდა, ზოგჯერ მანძილის შემცირებასაც ახერხებდა. დიკინსონი შიშობდა, რომ მტაცებელი ტარანზე წავიდოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ მომხდარა და მან ნაპირზე უვნებლად გააღწია.

## ქალმა ოფიციანტებს სოლიდური ჯიბის ფული დაუტოვა




ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში იტალიური რესტორნის Cavatore-ს მუდმივმა კლიენტმა ქალმა სოლიდური ჯიბის ფული დატოვა და ოთხი ოფიციანტი გაამდიდრა.

Cavatore-ს მომხმარებელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, 19,49 დოლარის ღირებულების კერძი გატანით დაუკვეთა, ფულის გადახდის დროს კი ჯიბის ფულად მან 1000 დოლარი დატოვა, რათა ამით კორონავირუსის პანდემიის პერიოდში დაწესებულების მიმართ საკუთარი მხარდაჭერა გამოეხატა. ქვითარზე მან დააწერა: „გამაგრდით".

– როდესაც ეს პერსონალისთვის გახდა ცნობილი, მათ სიხარულის ტალღამ გადაუარა. მან გააკეთა ის, რაც ასე გვესაჭიროებოდა, – აღიარა რესტორნის მფლობელმა ფედერიკო კავატორემ.

ქალის მიერ დატოვებული ჯიბის ფული ოთხ ოფიციანტს გაუნაწილეს, რომლებიც იმ ცვლაში მუშაობდნენ. კავატორეს თქმით, ქალის საქციელმა დაწესებულების თანამშრომლებს განწყობა აუმაღლა.

## ნიანგები დაცარიელებულ პლაჟებს დაეპატრონნენ



მექსიკის ოახაკის შტატში მდებარე კურორტ ლა-ვენტანილიას დაცარიელებული პლაჟები ნიანგებმა დაიპყრეს.

ლა-ვენტანილია ცნობილია თავისი ნიანგებით, თუმცა ჩვეულებრივ ისინი ლაგუნაში, მდინარე ტონამეკის შესართავში იმალებიან, პლაჟი კი ტურისტებს აქვთ დაკავებული. აპრილის დასაწყისში მექსიკის ხელისუფლებამ კორონავირუსის ინფექციის გავრცელებასთან ბრძოლის ფარგლებში ქვეყანაში ყველა პლაჟი დახურა. როდესაც კურორტები დაცარიელდა, რეპტილიები გათამამდნენ და ლაგუნებიდან პლაჟებზე გადაინაცვლეს. ამ დღეებში ლა-ვენტანილიას პლაჟზე ხუთი მოზრდილი რეპტილია შენიშნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# საზოგადოება

## აჩიკო ნიჟარაძე: „დაუბრუნდეთ საპენსიო დანაზოგები ადამიანებს"



ამ ინიციატივით მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე გამოდის:

– დაუბრუნდეთ საპენსიო დანაზოგები ადამიანებს. ის თანხები, რომლებიც ჩვენი ხელფასებიდან იჭრებოდა 2-3 წლის განმავლობაში. რამდენად რეალურია, არ ვიცი, თუმცა, კარგი იქნებოდა.

ეს დანაზოგები დაგვეხმარება ადამიანებს, რომლებმაც დავკარგეთ სამსახურები, გადავიტანოთ სამი თვე მაინც, სანამ არ აღდგება სამსახურების მუშაობა ნორმალურად. ეს არის, ჩემი აზრით, სწორი მიდგომა!

ამის გარდა, დროულად უნდა გაიცეს დახმარება თითოეულ ადამიანზე, რომ თვიდან თვემდე არ დაგვეხოცოს ხალხი მშიერი. ეს ეხება როგორც პენსიონერებს, სოციალურად დაუცველებს და ასევე სამსახური ვინც დაკარგა, ყველა ადამიანს. ადამიანმა, რომელიც მუშაობდა და დღეს დაკარგა სამუშაო, ჰყავს რამდენიმე ოჯახის წევრი და არც დანაზოგი გააჩნია, დამერწმუნეთ, ასეთი ბევრია, ანალოგიურად უნდა მიიღოს ფულადი დახმარება!

## გიორგი უშიკიშვილი: „დღეში 2 საათი მაინც დაუშვან გადაადგილება"



სოფელში ჩარჩენილი მომღერალი გიორგი უშიკიშვილი მანქანით გადაადგილებას კატეგორიულად მოითხოვს:

– დღევანდელი სიტუაციის გამო ასე გაუთვალისწინებლად ჩავრჩი სოფელში ჩემს ოჯახთან ერთად. გავიგე, რომ ზომები მისაღებია და უნდა დავემორჩილოთ, მაგრამ, ის ხომ გასათვალისწინებელია, რომ მე, მაგალითად, რომელ სოფელშიც ვარ, უახლოესი მაღაზია და აფთიაქი 15 კილომეტრშია. ასე წინასწარ რამდენი უნდა მეყიდა საკვები ან წამალი? ელემენტარულად, ყველას ხომ სახლთან არ აქვს მაღაზია და აფთიაქი? ასეთი შემთხვევები ხომ გასათვალისწინებელია?

თან ამ სოფელში მარტო მე კი არ ვარ. კიდევ რამდენი სოფელი იქნება ასეთი? მანქანების შეზღუდვა გაგრძელდა და, მე მგონი, ასეთი ელემენტარული საკითხები გასათვალისწინებელია, რომ წავიდე, პური ვიყიდო და, თუ დამჭირდა – წამალი. ასე აიღე და ჩაკეტე, რანაირად ხდება? ამ 144-ზეც ვრეკავ და აზრი არ აქვს, მთელი დღე დაკავებულია. დღეში 2 საათი მაინც დაუშვან გადაადგილება. დილით, მაგალითად.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები", რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის" შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

# გიორგი ხარაიშვილი: „ჰოლანდიის, ბელგიის ან გერმანიის ჩემპიონატში თამაში ჩემთვის კარგი იქნებოდა“

შვედეთი ერთ-ერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც პანდემიის ფონზე შეზღუდვები არ მოხსნილა. მართალია, ჩემპიონატი შეჩერებულია, მაგრამ ვარჯიშები ჩვეულ რიტმში მიმდინარეობს.

შვედეთში საქართველოს ნაკრების წევრი გიორგი ხარაიშვილია და იქაურ გიოტებორგში თამაშობს, უფრო სწორად, ამ ეტაპზე მხოლოდ ვარჯიშობს.

გამოქვეყნდა ინტერვიუ 23 წლის ფეხბურთელთან, სადაც ჩვენებური მოგვითხრობს, როგორ გრძნობს თავს შვედეთში, რა ხდება საქართველოში და როგორია სამომავლო მიზნები.

*– რთული პერიოდია შენთვის?*

– კარგად ვარ. ეს ყველასთვის რთული პერიოდია, მაგრამ მეუღლე ჩემთან ერთადაა და ასეთ დროს თავს მარტო არ ვგრძნობ. 2 კვირის განმავლობაში დასვენება გვქონდა, ახლა განვაახლეთ ვარჯიშები და ვცდილობთ ფორმის შენარჩუნებას.

*– რა ხდება საქართველოში?*

– საქართველო პატარა ქვეყანაა, სადაც დაახლოებით 3.5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მთელი ქვეყანა კარანტინშია. ამ ეტაპზე მოსახლეობას მანქანით გადაადგილების უფლება არ აქვს. გარეთ 21:00 საათის შემდეგ ვერავინ გავა დილის 6 საათამდე. ქვეყანაში მკაცრი წესებია, თუ გარეთ საღამოს გახვალ, ფინანსურად დაჯარიმდები. ჩემი ოჯახი მთელი დღის განმავლობაში სახლში იმყოფება და მშვიდად არიან. რთულია, მაგრამ ახლა ასეა საჭირო. როდესაც გავიგე, რომ საქართველოს საზღვრები იკეტებოდა, ცოტა ავღელდი, ჩემს ოჯახში დავრეკე და მათ მითხრეს, რომ თავს კარგად გრძნობენ. ამ მომენტისთვის ქვეყანაში კორონავირუსით დაინფიცირებულების 400 შემთხვევაა.

*– როგორ გრძნობ თავს გიოტებორგში?*

– მიყვარს ეს ქალაქი და გუნდი. კლუბში ძალიან კარგი ხალხი მუშაობს. აქ ცხოვრება სასიამოვნოა და გიოტებორგში ყველასთან მუშაობა მარტივია. ყველასთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს.

*– 2018 წლის ცუდი შედეგების შემდეგ 2019 წელს გუნდის შედეგები უკეთესი იყო.*

– გიოტებორგში პირველი წელი ჩემთვის საკმაოდ რთული და მძიმე იყო. 2018 წელს მთელი შემადგენლობა ძალიან ახალგაზრდული იყო. ასაკის მომატებით გამოცდილებაც შევიძინეთ. წელს უფრო კარგ შედეგებს ვაჩვენებთ, იმედია, ჩემპიონატიც მალე განახლდება.

*– არის თუ არა გიოტებორგში ადამიანი, რომელმაც შენს განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა?*

– გიოტებორგის მთავარი მწვრთნელი პოია ასბაგი. სიტყვებით ვერ აღვწერ, რამდენად დამეხმარა. მისი დახმარებით პროფესიონალურად ძალიან გავიზარდე როგორც ფეხბურთელი და ადამიანი. ფერან სიბილიაც (მწვრთნელის ასისტენტი) ძალიან დამეხმარა, გუნდს შესანიშნავი მწვრთნელები ჰყავს. ძალიან ბედნიერი ვარ მათთან მუშაობით.

*– რა გააკეთა პოიამ იმისთვის, რომ პროგრესისთვის მიგეღწია?*



– პირველ რიგში ის, რომ უდიდესი ნდობა გამომიცხადა. არის თამაშის დროს პატარა დეტალები, რომლის დახვეწაშიც ყოველთვის მეხმარება, მაგრამ ფეხბურთელისთვის მწვრთნელის ნდობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრძნობინა, რომ ვჭირდებოდი და გუნდისთვის საჭირო ადამიანი ვიყავი.

*– შარშან ალსვენსკაში საკმაოდ შედეგიანი სეზონი გქონდა – 7 გოლი და 8 საგოლე პასი. კმაყოფილი ხარ?*

– საკმაოდ კარგია. ცუდი არ არის, მაგრამ შემეძლო, უფრო მეტი გამეკეთებინა გუნდისთვის, მქონდა ამის საშუალება. ვფიქრობ, გოლ პლუს პასის ჯამში 20-22 შემეძლო ავსულიყავი. იმედი მაქვს, ამ სეზონში უფრო პროდუქტიული ვიქნები.

*– შვედეთის ჩემპიონატში კარგი თამაშის შემდეგ ადგილობრივ ფეხბურთელებზე მეტი შეთავაზება გექნებოდა. იყო ზამთარში რამე ახალი წინადადება?*

– რადგან ახლა ისევ გიოტებორგის ფეხბურთელი ვარ, გამოდის, არ იყო ისეთი რამ, რაც სასაუბროდ ღირს.

*– გიოტებორგის ეკონომიკა არ არის მყარი. გრძნობ, რომ შესაძლოა, რაღაც მომენტში გუნდის დატოვება მოგიწიოს, რათა კლუბმა ფინანსური შემოსავალი მიიღოს?*

– რა თქმა უნდა, მესმის ეს. ჩემს კარიერაზე ვფიქრობ და მსურს პროგრესი. შვედეთის ჩემპიონატი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის კარგი ლიგაა.

*– რომელ ჩემპიონატში ისურვებდი გიოტებორგიდან გადასვლას?*

– ჰოლანდიის, ბელგიის ან გერმანიის ჩემპიონატში თამაში ჩემთვის კარგი იქნებოდა.

*– შარშანდელი სეზონიდან გამომდინარე, ბევრი გიოტებორგის ვარსკვლავად მიგიჩნევს. გრძნობ, რომ ვარსკვლავი ხარ?*

– ამაზე საუბარი არ მსურს. ყოველთვის სიამოვნებით დავეხმარები გიოტებორგს მანამ, სანამ აქ ვიქნები. ვგრძნობ, რომ გიოტებორგი ძალიან დამეხმარა განვითარებაში, ბევრი ასპექტი დავხვეწე აქ ჩამოსვლის პირველივე დღიდან. ჩვენ ვიმსახურებთ სატურნირო ცხრილში იმაზე მაღლა ყოფნას, ვიდრე ეს მე-7 ადგილია.

# უეფა ითხოვს — ეროვნული ჩემპიონატები და თასის გათამაშებები უნდა დასრულდეს

უეფამ მორიგი ვიდეოკონფერენცია გამართა 55 წევრი ქვეყნის გენერალურ მდივნებთან ერთად. ვიდეოკონფერენციის განხილვის თემა კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისია ევროპულ ფეხბურთში.



ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სანაკრებო ამბები იყო. ჯერ კიდევ გასამართია 26 მარტს ჩანიშნული შეხვედრა საქართველოსა და ბელარუსს შორის. უეფამ ფედერაციების წარმომადგენლებს სანაკრებო მატჩებისა და საკლუბო ჩემპიონატების კალენდრის ალტერნატიული ვარიანტები გააცნო. სანაკრებო თამაშების შესახებ და შემოდგომაზე გასამართი 8 ფლეი ოფის შეხვედრის, მათ შორის, საქართველო-ბელარუსის მატჩის სავარაუდო გრაფიკის შესახებ გადაწყვეტილებას უეფა შემდეგ აღმასკომზე მიიღებს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით კი უეფა ევრო 2020-ის ფლეი ოფების ჩატარებას ოქტომბერში ან ნოემბერში აპირებს.

ეს უეფას ვიცეპრეზიდენტმა, უნგრელმა შანდორ ჩანიმ დაადასტურა. ჩანიმ ისიც აღნიშნა, რომ ამ თემაზე გადაწყვეტილებები არ მიუღიათ და ყველაფერი სიტუაციის განვითარებაზე იქნება დამოკიდებული. ახლანდელი კალენდრით, ოქტომბერ-ნოემბერში უეფას 55-ვე წევრმა ქვეყანამ ერთა ლიგაზე უნდა ითამაშოს.

დიდი ალბათობით, ერთა ლიგის მატჩები სექტემბერ-ოქტომბერში გაიმართება, ოქტომბერშივე იქნება ევროს ფლეი ოფის ნახევარფინალები, ხოლო ნოემბერში — ფინალები.

უეფამ ასევე რეკომენდაცია მისცა ფედერაციებს ეროვნული ჩემპიონატების დასრულების თაობაზე. შეგახსენებთ, რომ გუნდები, რომლებიც საქართველოს ევროტურნირების 2020-21 სეზონზე წარმოადგენენ, უკვე გამოვლენილი არიან.

თუ ჩვენ ეს „არ გვაღელვებს“, უეფა დაჟინებით ითხოვს, რომ ეროვნული ჩემპიონატები და თასის გათამაშებები აუცილებლად დასრულდეს. თუმცა ევროპული ფეხბურთის მთავარი ორგანო არც „განსაკუთრებულ გამონაკლისებს“ გამორიცხავს. ასე რომ, უეფამ პირველად დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ რომელიმე ჩემპიონატი, შესაძლოა, არც დასრულდეს და, უბრალოდ, საბოლოოდ შეწყდეს.

მედიამ უეფას 2020-21 წლების სეზონის გეგმებიც გამოამზეურა. ბრიტანული მედია ამტკიცებს, რომ გეგმა უკვე შემუშავებულია, რაც კლუბებსა და ნაკრებებს შორის ნამდვილ ომს გამოიწვევს.

უეფას გეგმით, ახალი საფეხბურთო სეზონი სექტემბრის შუა რიცხვებში დაიწყება და ძალზე გადატვირთული იქნება. უეფას ჯერ მიმდინარე სეზონი აქვს დასასრულებელი. ასევე დასასრულებელია ევროთასები, რასაც უეფა აგვისტოს 23-დღიან პერიოდში აპირებს.

გეგმის მიხედვით, ჩემპიონთა ლიგის ფინალი 29 აგვისტოს უნდა გაიმართოს. ამის შემდეგ მხოლოდ 16-დღიანი პაუზა იქნება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ეროვნული პირველობების დაწყებამდე.

თანაც, ამ 2 თარიღს შორის შესვენება კი არა, უეფას ერთა ლიგის მეორე სეზონის მატჩები იქნება, 2 კვირის განმავლობაში მოწინავე კლუბების ფეხბურთელები სხვადასხვა ნაკრების განკარგულებაში იქნებიან.

სამხრეთამერიკელი ფეხბურთელები კი 2022 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩებზე გაემგზავრებიან.

არ დაგვავიწყდეს ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის საკვალიფიკაციო მატჩები, რომლებიც ვერაფრით გაიმართება ივლის-აგვისტოში. როგორც ჩანს, ისინი სეზონის დაწყებასთან ერთად აიღებს სტარტს.

სეზონი გახურდება და კლუბები ვალდებული იქნებიან, მოთამაშეები ისევ ნაკრებებში გაუშვან — ეს ოქტომბრის შუა რიცხვებში მოხდება.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დაწყების სავარაუდო თარიღი კი 20 ოქტომბერია. 11-დან 17 ნოემბრამდე, სავარაუდოდ, ისევ სანაკრებო პაუზაა.

ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის ჯგუფური ეტაპი თებერვლის ბოლომდე ვერ დასრულდება. არანაირი ორთვიანი პაუზა არ იქნება ევროთასების ჯგუფურ ეტაპსა და ფლეი ოფებს შორის.

ევროპის უმთავრესი ლიგები მაისის შუა რიცხვებში დასრულდება, ჩემპიონთა ლიგის ფინალი კი მაისის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. ამით ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე შემჭიდროებული სეზონი დასრულდება, მაგრამ ზაფხულში ფეხბურთელებს ევროპის ჩემპიონატი ელით.

დღეს უეფას მორიგი ვიდეოკონფერენციაა, ამჯერად აღმასკომის ეგიდით და ძალიან ბევრი რამ გაირკვევა.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

# ბარსელონა სტადიონის სახელს ყიდის

ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი, ბარსელონა, კორონავირუსთან საბრძოლველად თანხის შეგროვების გამო ერთი წლით საკუთარი საშინაო არენის „კამპ ნოუს“ სახელწოდებაზე უფლებას გაყიდის. ეს საკითხი კლუბის დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა.

გადაწყვეტილება იმ მიზნით იქნა მიღებული, რომ პანდემიასთან საბრძოლველად შექმნილ მსოფლიოს კვლევით პროექტებში ინვესტირებისთვის სახსრები შეგროვდეს.

აღსანიშნავია, რომ ბარსელონის ამგვარი ქმედება კლუბის ისტორიაში პირველი იქნება.

თუმცა, შესაძლოა, სპონსორს სახელის დასარქმევად ლოდინი მოუხდეს და ეს ყველაფერი მომავალი სეზონიდან დაიწყოს. საქმე ის არის, რომ ბარსელონისთვის ლა ლიგაში დარჩენილი 11 მატჩი, რომლებიც, დიდი ალბათობით, ზაფხულში, მაყურებლების გარეშე ჩატარდება, შესაძლოა, „კამპ ნოუს“ ნაცვლად „იოჰან კრუიფზე“ გაიმართოს.

კლუბში ფიქრობენ, რომ ცარიელ დიდ არენაზე თამაში ფეხბურთელებზე უარყოფით ფსიქოლოგიურ გავლენას მოახდენს და უმჯობესი იქნება, თუ ისინი გაცილებით მცირე ზომის სტადიონს გამოიყენებენ.

ტიტულისთვის ბრძოლაში ბარსას მთავარი კონკურენტის, მადრიდის რეალის ხელმძღვანელებიც იმავე აზრზე არიან და „სანტიაგო ბერნაბეუს“ ნაცვლად სარეზერვო გუნდის მინდორზე თამაშს აპირებენ.

რეალმა ლა ლიგას თხოვნით მიმართა, რომ სეზონის განახლების შემთხვევაში დარჩენილი შეხვედრები ალფრედო დი სტეფანოს სახელობის სტადიონზე გამართოს. ლა ლიგამ ეს თხოვნა უკვე დააკმაყოფილა. ახლა გუნდში უეფას თანხმობას ელიან.

უეფას მოთხოვნით კლუბებმა მატჩები იმ სტადიონებზე უნდა გამართონ, სადაც სეზონს იწყებენ, მაგრამ, გარკვეული რეგულაციების გამო, რომლებიც კორონავირუსის პანდემიით არის გამოწვეული, შესაძლოა, უეფა დათმობაზე წავიდეს და რეალს „ალფრედო დი სტეფანოზე“ თამაშის უფლება მისცეს.

ლა ლიგის განახლების შემთხვევაში, კლუბებს ქომაგების გარეშე თამაში მოუწევთ, რის გამოც რეალს სურს, „სანტიაგო ბერნაბეუს“ განახლება დროულად დაიწყოს და მატჩები სათადარიგო მოედანზე ჩაატაროს.

თუ ბარსელონა საშინაო მატჩებს მუდმივად „კამპ ნოუზე“ ატარებდა, რეალმა საშინაო მატჩი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 2-ჯერ ვერ ჩაატარა და ნეიტრალურ სტადიონზე გამართული ორივე მატჩი მოგებით დაასრულა: 1987 წელს პორტოსთან „მესტალიაზე“ და 1994 წელს რაიო ვალეკანოსთან — „ვისენტე კალდერონზე“.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

## სამსახურდაკარგული მამაკაცი მილიონერი გახდა



კორონავირუსის ინფექციის პანდემიის გამო სამსახურდაკარგულმა ავსტრალიის ქალაქ ადელაიდას მკვიდრმა ლატარიაში რამდენიმე მილიონი ავსტრალიური დოლარი მოიგო.

ლატარიის გამარჯვებულმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, რამდენიმე კვირის წინ სამსახური დაკარგა, თუმცა ლატარიის ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდა. მის მიერ ჩაწერილი რიცხვები კვირას გამართულ გათამაშებაში ამოსულს დაემთხვა.

მამაკაცი მომდევნო 20 წლის განმავლობაში თვეში 20 ათას ავსტრალიურ დოლარს მიიღებს. მისი მოგების საერთო ჯამმა ხუთი მილიონი შეადგინა.

ლატარიის გამარჯვებულმა განაცხადა, რომ მცირე ხნით ადრე მისმა მეუღლემ იმშობიარა, ასე რომ, მათ ბავშვი შეეძინათ. მოგებული თანხით ოჯახი სახლის ყიდვას აპირებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პოპულარული ხმელთაშუაზღვისპირა კურორტი საფრანგეთში; 2. მუსიკალური პრემია აშშ-ში; 3. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 4. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 5. ვირტუოზი ესპანელი მევიოლინე მამაკაცი; 8. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 9. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 10. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. მონასტერი ხულოს რაიონში; 13. მანძილის საზომი ერთეული საფრანგეთში; 15. ლხინი, დროსტარება.

**თარაზულად:** 1. ყავის მწარმოებელი შვეიცარული ფირმა; 6. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 7. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 10. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 11. ლათინური ანბანის ბოლო ასო; 13. უნგრული ღვინო; 14. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. პერუს დედაქალაქი; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 18. აპრილის თვის ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თუნუქი; 2. ვისლა; 3. ძოწი; 5. ჯულელი; 6. სააბი; 7. ბოჰემია; 11. სკივრი; 13. პიანინო; 14. ყანწი; 15. ვეჯვუდი; 16. პუდინგი; 17. კაკადუ; 19. ატომი; 20. ვიზა.

**თარაზულად:** 1. თევზაძე; 4. გურჯი; 8. წნორი; 9. ღალა; 10. უოლესი; 12. ბეითალი; 14. ყავა; 15. ვალენსია; 16. პანჩი; 18. ლავრა; 21. კანოე; 22. გურზუფი; 23. მადიარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კაფი; 2. ემუ; 3. რეზონანსი; 4. ვოლგა; 5. ლაუდერი; 8. რური; 9. ტოსკანა; 10. პაზოლინი; 12. მახვში; 13. კაენი; 15. ამება.

**თარაზულად:** 1. კაბერნე; 6. კეჭნაობა; 7. ფურკა; 10. პროზა; 11. თრუსო; 13. კაკაო; 14. წყალი; 16. ვერე; 17. იმერეთი; 18. ბოტასი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 აპრილი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1749

ევრო — 3.4502

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9204

100 რუსული რუბლი — 4.1409

## ამინდის პროგნოზი 23 აპრილისთვის




## გიორგი ნაზღაიძე: „ავოიე, მთავრობა, ხალხი შიმშილობს!“



მოდელი და წამყვანი გიორგი ნაზღაიძე მთავრობას დამშეული ხალხის დასახმარებლად ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს, ცნობილ სახეებს კი საჯაროდ აკრიტიკებს:

– ანუ სახლში რომ გამოკეტეთ ეს ხალხი, იმაზე იფიქრეთ, თუ რა უნდა ჭამოს ამ ხალხმა ან საერთოდ რით უნდა იარსებონ?!

ავოე, მთავრობა, ხალხი შიმშილობს!

ეს ცნობილი და საჯარო სახეები რომ მომჯდარხართ თქვენს კომფორტულ აგარაკებზე და გამძღარი მუცლებით ისვრით რაღაც ფრაზებს, რომ უნდა გავიგოთ, ჩვენთვის უკეთესია და ჭკუას რომ არიგებთ ამ გაჭირვებულ და მშიერ ხალხს, მოდი, „იდი ნა.უი“ ქენით!

პატივისცემით, გიორგი ნაზღაიძე.

## ჯემალ ღაღანიძე 87 წლის გახდა



რუსთაველის თეატრის მსახიობი ჯემალ ღაღანიძე 87 წლის გახდა.

როგორც იუბილარი მსახიობი აღნიშნავს, იგი თავისი განვლილი ცხოვრებით კმაყოფილია, რადგან თეატრმა ყველანაირად შეუწყო ხელი და გაანებივრა.

ჯემალ ღაღანიძეს არც მაყურებლის სიყვარული დაჰკლებია და არც პრემიები და ჯილდოები:

– ჯილდოები და პრემიები არ მაკლია – მარჯანიშვილის სახელობის პრემიაც მაქვს, სახელმწიფო პრემია, სტალინური პრემია საოცნებო იყო მსახიობისთვის. მოსკოვში, კრემლში გადმოგვცეს ეს პრემია და იმ პერიოდისთვის ეს უდიდესი მოვლენა გახლდათ.

არაერთი ჯილდო დავიმსახურე, თუმცა ჩემი ყველაზე დიდი ჯილდო და უდიდესი საჩუქარი თქვენი – მაყურებლის სიყვარულია. ჩვენ, მსახიობები, სწორედ ამით ვარსებობთ. დიდი მსახიობი ხარ თუ პატარა, ქუჩაში რომ გცნობენ და სიყვარულს გამოხატავენ, ეს უკვე ყველაფერია.

## რეზო ესაძე მახათას პანთეონში დაკრძალეს



მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი და სცენარისტი რეზო ესაძე მახათას პანთეონში დაკრძალეს.

ხელოვანი პანდემიის გამო მისმა კოლეგებმა და უახლოესმა ადამიანებმა უკანასკნელ გზაზე ვერ გააცილეს და ვერც საკადრისი პატივი მიაგეს.

ერთადერთი, რეჟისორი ცოტნე ნაკაშიძე ავიდა მახათაზე და თითოეული კოლეგის სახელით რეზო ესაძე უკანასკნელ გზაზე გააცილა, რისთვისაც ქეთი დოლიძემ საჯარო მადლობა გადაუხადა.

– ქართულმა მიწამ მიიბარა ბავშვივით გულწრფელი, გამორჩენილი ხელოვანი, დიდი პატრიოტი, ღვთისა და მოყვასის ერთგული, ბატონი რეზო ესაძე. აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო თქვენ მოგანიჭოთ მშვიდობა, – განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

●●●

ხუთი შვილის მამას ჟურნალისტი ეკითხება:

– რას ფიქრობთ სექსზე?

– გადამრევ შვილო, თეორიისთვის მცალია მეე?!

●●●

ზაფხულია, ცხელა. მიხო საზამთროს ყიდის. მყიდველი საზამთროს სინჯავს და მერე ეუბნება:

– კარგი საზამთროა, მაგრამ მამალი როა?

– შვილო, თუ საჭმელად გინდა გეუბნები, რომ ტკბილია და სახმარად კიდე არ გამაგადგება...

●●●

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– საინტერესოა, 90-ის როგორი ვიქნები?

– შენ როგორი ოპტიმისტი ყოფილხარ!

– რა შუაში ოპტიმიზმი? 90 კილოგრამამდე სულ რაღაც ორი-სამი კილო მაკლია.

●●●

ქმარი ცოლს ურეკავს:

– ალო, ძვირფასო, მაღაზიაში ვარ და რა წამოვიღო?

– ნიღბით ხარ?

– კი.

– სალარო...

●●●

ნაცნობები შეხვდნენ ქუჩაში ერთმანეთს და ერთი მეორეს ეკითხება:

– რა საოცარი ბავშვი გყოლია, სიმპათიური ბიჭია თუ შეუხედავი გოგონა?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ალექსის სანჩესი: „არ ვიცი, ინტერში დავრჩები თუ არა“



ინტერის ჩილელმა ფორვარდმა ალექსის სანჩესმა განაცხადა, რომ არ იცის, მომავალში დარჩება თუ არა ინტერში, რადგან, შესაძლოა, ინგლისში დაბრუნება ამჯობინოს.

სანჩესის თქმით, ყველაფერი ზაფხულში გადაწყდება, როდესაც კორონავირუსით გამოწვეული პანდემია ჩაივლის:

– ჯერჯერობით ფეხბურთისთვის არავის სცალია, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერი გამოსწორდება. ზაფხულში მივიღებ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, დავრჩები თუ არა ინტერში. ინტერში თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ არც ინგლისში დაბრუნებას გამოვრიცხავ.

## რეალს სადიო მანეს ყიდვა სურს



მადრიდის რეალი ისევ დაინტერესდა ლივერპულის ფორვარდ სადიო მანეთი და მზად არის, მის ტრანსფერში 100 მილიონი გადაიხადოს. მანეს შეძენა რეალს ადრეც სურდა, მაგრამ ლივერპული მის გაყიდვაზე უარს ამბობდა. ამჯერად მადრიდელები უფრო სერიოზულად არიან განწყობილი, თუმცა დიდი თანხის გადახდა მათ, შესაძლოა, გაუჭირდეთ, რადგან კორონავირუსმა საფეხბურთო გუნდები ეკონომიკურად სერიოზულად დააზარალა.

თვითონ მანემ არაერთხელ განაცხადა, რომ ლივერპულში ბედნიერია და სხვა გუნდში გადასვლა არ სურს.

## ტომას მიულერი: „ბაიერნს ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია“



ბაიერნის შემტევმა ტომას მიულერმა ჩემპიონთა ლიგაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს ისევ შეუძლია ამ ტურნირის მოგება, რადგან ბაიერნში ძლიერი პროფესიონალები არიან შეკრებილნი:

– ბაიერნთან ერთად ჩემპიონთა ლიგა 2013 წელს მოვიგე და იმ შეხვედრას არასოდეს დავივიწყებ. ძალიან მინდა, რომ ის შეგრძნება ისევ განვიცადო და ჩვენ ეს შეგვიძლია. იმედი მაქვს, ჩემპიონთა ლიგა მალე განახლდება და ამ ტურნირით ყველა ვისიამოვნებთ.

## მასიმილიანო ალეგრის პსჟ ეპატიჟება



ფრანგულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პსჟ იტალიელი სპეციალისტით მასიმილიანო ალეგრით დაინტერესდა, რომელიც ამჟამად არც ერთ გუნდში არ მუშაობს. ალეგრის მოყვანა იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ტომას ტუჰელს გაუშვებენ, რაც რეალურია, რადგან მისი მუშაობით პსჟ-ს ხელმძღვანელობა ბოლომდე კმაყოფილი არ არის. გარდა ამისა, ტუჰელს პსჟ-ს ლიდერებთან არც ისე კარგი ურთიერთობა აქვს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## თეა დარჩია ვირუსთან მებრძოლი მედიკოსების სიას ითხოვს



მოცეკვავესა და ქორეოგრაფს თეა დარჩიას სურს, რომ შეიქმნას კონკრეტული სია იმ ადამიანებისა, რომლებიც ვირუსს არ შეუშინდნენ და კლინიკებში მუშაობის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღეს:

– შემოვდივარ წინადადებით, შეიქმნას კონკრეტული სია იმ ადამიანების, დამლაგებლებითა და სანიტრებით დაწყებული, ექიმ-რეანიმატოლოგებით დამთავრებული, აბსოლუტურად ყველა ადამიანის, ვინც არ შეუშინდა ვირუსს, დარჩა კლინიკებში სამუშაოდ და პირდაპირი გაგებით თავს სწირავს ადამიანების გადარჩენასა და ეპიდემიის დამარცხებას!

სპეციალური სია! რომელთა სახელები და გვარები ოქროს ასოებით ჩაეწერება დღევანდელი გმირების სიაში! მათი შვილების უფასო განათლების უზრუნველყოფა, პანდემიის დამარცხებისთანავე ამ ადამიანების უმაღლესი ხარისხის სასტუმროებში დასვენებისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა, ოჯახებთან ერთად, პენსიების დანიშვნა მთელი სიცოცხლის მანძილზე, როგორც გმირებისთვის, სპეციალური ხარისხის მინიჭება სპეციალური საბუთით, რაც მათ მისცემს უფლებას, მომავალში ისარგებლონ შეღავათებით სხვადასხვა მომსახურებაზე!

და თუ რამ გამომრჩა, დამეხმარეთ და შეავსეთ სია! რადგან ჩვენ ყველა სახლებიდან, ავად თუ კარგად, მაინც დაცულები შვილებთან ერთად, მაინც დამკვირვებლის პოზიციიდან ადვილად განვიკითხავთ ყველას და ყველაფერს! ისინი კი ჩუმად 24 საათის განმავლობაში თითოეული ადამიანის, მათ შორის, ჩვენს სამსახურში არიან!

მადლობა და დიდი პატივი მათ ჩვენგან!

## ერეკლე დეისაძე საზოგადოებას მოუმწიფებელს უწოდებს



პოეტი, მწერალი და მომღერალი ერეკლე დეისაძე ქართველ საზოგადოებას მოუმწიფებელს უწოდებს და მიაჩნია, რომ ასეთი საზოგადოებისგან არც ქება უნდა გეწყინოს და არც ძაგება:

– თქვენ არ იყავით, ლამის ვენები რომ გადაიჭერით ექიმებზე? ჯერ გულის წასვლამდე აქებდით, ახლა გულის წასვლამდე ლანძღავთ, სულ რაღაც ორი კვირის შუალედში.

მე თუ მკითხავთ, სი.ზე უნდა გეკიდოს ასეთი მოუმწიფებელი საზოგადოების ქებაც და ძაგებაც.

სამი კაცი ბირჟა აღარაა, ბრბოა, რომელიც მზად არის, ჯერ ტაში დაგიკრას, სხვები აიყოლიოს, 3 ათასი გახდეს და მერე იმავე ხელებით ძლრენის გუნდები გესროლოს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 23 აპრილისთვის

**ვერძი** – მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. პასუხისმგებლობას ნუ გაექცევით. **კურო** – შემოსავალი საგრძნობლად გეზრდებათ. შრომა გიფასდებათ. ბედს არ ემდურით. **ტყუპები** – აგრესიულობა და თავშეუკავებლობა მატერიალურად დაგაზარალებთ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნუ გამოჩნდებით. **კირჩხიბი** – მეგობრებისგან დახმარება გჭირდებათ. თავს ზედმეტად ნუ დაიფასებთ. **ლომი** – ინფორმაციის არასათანადო შეფასება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. იოლად არავის მიენდოთ. **ქალწული** – საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას სიფხიზლე გმართებთ. პატარა შეცდომაც კი სავალალო იქნება. **სასწორი** – ფასეულობების გადაფასების დროა. ახალი იდეების განხორციელება მატერიალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. **ღრიანკალი** – სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. ენერგიულობისა და ოპტიმიზმის წყალობით საქმეებს თავს წარმატებით გაართმევთ. **მშვილდოსანი** – ახალგაცნობილ ადამიანებს გულისნადებს ნუ გაუმხელთ. იკვებეთ ჯანსაღად. **თხის რქა** – საყვარელ ადამიანს გულს ნუ ატკენთ. თავქარიანობა და ფუქსავატობა საქმეს გაგიფუჭებთ. **მერწყული** – საქმე დიდი ყურადღებით აკეთეთ. გაითვალისწინეთ გარშემომყოფთა ინტერესებიც. **თევზები** – ოცნების კოშკებს ნუ ააგებთ. რეალური საქმით დაკავდით. ჯანმრთელობას მიხედეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ინგლისის ტახტის მემკვიდრის ტიტული; 2. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია; 3. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 5. აზერბაიჯანული ხალხური სიმღერის ჟანრი; 6. მცენარეთა სამყარო; 7. პოლონეთის პირველი პრეზიდენტი; 11. ნაკვერჩხლიანი ნაცარი; 13. პატარა თევზსაჭერი გემი; 14. ქიმიური ელემენტი, აირი; 15. გერმანული საგმირო ეპოსი; 16. სპორტსმენთათვის აკრძალული აღმგზნები პრეპარატი; 17. პიტნითა და ყინულით შეზავებული რომი ან ვისკი; 19. თვალის ფერადი გარსი; 20. ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული.

**თარაზულად:** 1. ამერიკელი ქიმიკოსი, რომელსაც ორჯერ მიენიჭა ნობელის პრემია; 4. ვულკანიდან ამოფრქვეული გავარვარებული მასა; 8. კურორტი ლენტეხის რაიონში; 9. ზღვის დიდი ტალღის ძველი ქართული სახელწოდება; 10. რძის პროდუქტი; 12. კუთხე საქართველოში; 14. ჩახურებული ფქვილი; 15. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 16. ფრანგი მოდელიორი; 18. დაბალი ხარისხის ალმასი; 21. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 22. ძვირფასი ბეწვით გაწყობილი ქალის კაბის საყელო; 23. სახარატო ჩარხის ნაწილი, რომელშიც საჭრისი მაგრდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

